

სამოქალა

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის
აქციოდელი ორგანო.

964
1933

,LA PATRIE"

Organe du parti National - Démocrate Géorgien.

თბილისი 1933.

№ 14

NOVEMBRE 1933.

აგვისტოს ხსოვნას.

ფიცისა და სიტყვის გატეხით, მუხანათურად საქართველოში შემოჭრილ რუსეთს ქართველი ერი აჯანყებებით შეხვდა ასი წლის წინეთ. ომითა და სამი აჯანყებით უბასუხა ჩევნმა ერმა რუსეთის ახალ შემოსევას ასი წლის შემდეგ. პირველ შემოსევას წინ უსწრობდა მეფის რუსეთის პირობა და აღთქმა საქართველოს სამეფოს დაცვისა და მფარველობისა. მეორე შემოსევასაც ასევე ამშვენებდა კომუნისტური რუსეთის პირობა საქართველოს ცნობის შესახებ და მისი მიწაწყლის ხელშეუხლებლობის აღთქმა. ყოველივე ეს საკმარისად ამიღვნებს როგორც რუსულ პოლიტიკას და მის ბუნებას, ასევე ქართველი ერის მუდმივ ზრახვებს და ურყევს გადაწყვეტილებას. ბუნოვანი და გაუგებარი აქ აღარ დარჩენილა რა. ყოველივე ნათელია, მაგრამ ყველაფერზე ნათელი ისაა. რომ ქართველ ერს არ სურს რუსეთის ყმობა, რომ ის იბრძოდა, იბრძვის და მუდამ იბრძოლებს უცხო ულლის გადაგდებისათვის.

აგვისტოს აჯანყება უკანასკნელი დიდი ეპიზოდია ამ ბრძოლათა და აჯანყებათა რიგში. ის მოგვაგონებს ამ ბრძოლებს, მის მიზანს მუდმივსა და უცვლელს. ის მოგვაგონებს ამ ბრძოლებში გაწეულ მსხვერპლს, თავდადებულ მამულიშვილთა ანდერს და წმინდა საფლავებს. ეს არის მისი ძალა, ასე მძლავრად რომ სწოდება ქართველის გულის სილრმეს, სადაც არ უნდა იყოს იგი, სამშობლო მიწაწყალზე თუ უცხოეთში.

აგვისტოს ხსოვნა ქართველი ერის თავისუფლებისათვის დაუსრულებელ ბრძოლათა ხსოვნაა, ის სარკეა მისი გაუტეხელი ნების ყოფის. ის ცხოველმყოფელი წყაროა მისი ეროვნული ზრახვებისა



ლიბერალიზმი, სოციალიზმი, ფაზიზმი.

ამ ოციოდე წლის მანძილზე რომ მძღვრი გარდატეხები განიცადა კაცობრიობამ, ამის მსგავსი მას არასოდეს უხილავს თავის ისტორიის გრძელ მანძილზე. ხალხთა საშინაო ეკონომიური ვითარება, საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობა, ფინანსები, კრედიტი, საშინაო და საგარეო პოლიტიკა, პიროვნული და საზოგადოებრივი მორალი გადასცდენ თავის ზღუდეებს, და ახალს ნიადაგს, ახალს კალაპოტს დაექებენ.

მართალია, მსოფლიო ისტორიაში წინეთაც ჰქონია ადგილი ხალხთა ცხოვრების დიდი გარდატეხებს. ქრისტიანობა, რომაული ცივილიზაციის დამხობა, ალირძინების ხანა საშუალო საუკუნოებში, საფრანგეთის რევოლუცია და სხ. დიდი გარდატეხებს ჰქმნიდენ ხალხთა ცხოვრებაში. მაგრამ იმ დროინდელ პატრიარქულს ხანაში ასეთს გარდატეხებს არ ჰქონია ისეთი ლრმა და ფართე გასაქანი, როგორც ჩვენს დროში. იმ ხანებში მანძილსაც სხვა ძალა ჰქონდა, და დროსაც, და ყოველივე ზანტად და ნელის ნაბიჯით მიმდინარეობდა. სულ სხვა ჩვენს დროს, ამ რაციონა და ავიონის ხანაში. ნიუიორკის, ლონდონის და პარიზის ბირეას მთელი მსოფლიოს ეკონომიური ძაფები უჭირავს ხელთ და უენევის პოლიტიკური ბირეაც: ნაციათა ლიგა, მსოფლიო პოლიტიკის ბარომეტრს წარმოადგენს. იქ ამტკიცარი ქარიშხალი ელვის სისწრაფით ედება მთელს კაცობრიობას და ყველგან თავის გამოძახილს ჰქონულობს.

ბუნებრივია, რომ მსოფლიო ომის შემდგომი კაცობრიობის ეს ახალი მძღვრი შექანება დიდი გავლენას ახდენს ხალხთა პოლიტიკურს წყობილებებსა და პზროვნებაზე. ლენინიზმი, სტალინიზმი, ფაშიზმი, ჰიტლერიზმი და რუზველტიზმი მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენები და ყოველივე ეს უკანასკნელი ხცი წლის მანძილზე წარმოაშვა! თვით ეს ფაქტი, რასაკვირველია-საკმარისი საბუთია იმისა, რომ უდიდეს კრიზისს განიცდიან ის პოლიტიკური სისტემები, და მსოფლმხედველობა, რომელნიც ამათ წინეთ იყვნენ გამეფებულნი. ამას ახდილად აღიარებენ თვით ლიბერალიზმისა და სოციალიზმის მრავალი მეთაურები. მაგრამ, როგორც უალმხრივი იყო ხშირად ძველი პოლიტიკური სისტემის დაფასება, ასევე ცალმხრივია მისი ეხლანდელი კრიზისის გაგებაც.

ლოიდ-ჯორჯი მართალი იყო, როდესაც სოქვა, რომ ლიბერალიზმი დიდი კრიზისს განიცდის, მაგრამ ეს არის კრიზისი მისი ტაქტიკისა და მეთოდების და არა მსოფლმხედველობისათვის. ლიბერალური პოლიტიკა მოქალაქის თავისუფლებასა, თანასწორობასა

და ერთობაზეა აშენებული, რაც საფრანგეთის რევოლუციის ქარტიდან არის ნახესხები. თავისუფლება და ერთობა უფრო მორალური მცნებებია. უფლებრივი შინაარსი აქვს მოქალაქეთა თანასწორობის მცნებას. შესაძლოა განსაკურთხებულ პირობათ მიხედვით, ამა თუ იმ ხალხმა დროებით ამ მცნებასაც არ მისცეს სრული განაღლება, მაგრამ აქედან ძნელია ისეთი დასკვნის გამოტანა, თითქოს ხალხთა პოლიტიკური ცხოვრების მოქალაქეთა არა თანასწორ უფლებებზე აგება უფრო ბუნებრივი იყოს და მიზანშეწონილი. ლიბერალური სისტემის გაკოტრებაზე რომ სწერენ, უმთავრეს არგუმენტად პარლამენტარული წყობის სუსტს მხარეებს იხსენიებენ. მათ ავიწყდებათ, რომ პარლამენტარიზმი სრულიად არ არის ლიბერალური სისტემის მიუკიდებელი თვისება. ამის საბუთად საკმარისია ამერიკის შტატები და შვეიცარია, სადაც პარლამენტარული წყობა არ არსებობს. მაგრამ ლიბერალიზმის სრულს გაკოტრებაზე ლაპარაკი საკეთებით სამართლიანი იქნება, უკეთუ სახეში გვეჩება ის ლიბერალური დემაგოგიური დოგმა, რომელიც ზოგიერთმა ლიბერალიზმის მიმდევარმა შეთხხა. ამ დოგმატებში აღნუსხულია სახელმწიფო უფროებრივი ცხოვრების ყველა წერილმანები, რომელნიც მათ სავალდებულოდ მიაჩნიათ ყველა ქვეყნებისათვის და ყოველს პირობებში. ასეთს თეორიებში დავიწყებულია საზოგადოებრივი ცხოვრების რეალური პირობები და ამის გამო, ხშირად თვისუფლებისა თუ თანასწორობის უფლების ყოველგვარი საზღვრები იშლება ასეთ მოვლენათა შესახებ ფრანგ-ფილოსოფოსს ბოსუეს აქვს მკვეთრად ნათევამი სამასი წლის წინეთ: „სადაც ყველას შეუძლიან იმის გაკეთება, რაც სურს, იქ არავის არ შეუძლიან იმის გაკეთება, რაც მას სურს, სადაც ყველა ბატონია, იქ ყველა მონაა“. ჩეხო-სლოვაკიის პრეზიდენტმა მასსარიკმა სამართლიანი აზრი გამოსთვევა თანამედროვე დემოკრატიის კრიზისის შესახებ: დემოკრატიულს წყობას სრულებით არ ეწინააღმდეგება მაგარი ხელისუფლება და მტკიცე მმართველობა. უკანასკნელი საუკუნის მანძილზე ამის მაგალითები მრავალი იყო.

სოციალისტური პოლიტიკის მარცხიც არ არის სწორათ შეფასებული მათი მოწინააღმდეგების მიერ. მართალია სოციალისტური დოგმის გაკოტრება დღეს ყველასათვის ნათელი გახდა, მაგრამ ეს დოგმა თავიდანვე გაკოტრებული იყო ყველა დაკვირვებულ მოაზროვნის თვალში. მარქსმა და მისმა მმმდევრებმა ამოკრიბეს სახარებიდან და ძეველი უტოპისტების ნაწერებიდან მრავალი მორალური მცნებები და მას მეცნიერული სოციალიზმი დაარქვეს და პრაქტიკული პოლიტიკის გეგმათ დაისახეს. ამ დოგმის გარშემო სოციალისტებმა მრავალრიცხვანი ძალები დარაზეს და ზოგიერთს ქვეყნებში სახელმწიფოებრივი მმართველობაც ჩაიგდეს ხელში, მა-

հրամ տաշու եղլուտ տայս პհրօշիկամիօնան տոտքմիս զբհացյերո զը զա-
նաեռն լույսուն է. յրտագ-յրտո զամոնայլուսու հուսետո, սալապ յը մարի-
սությունո პհրօշիկամ սացեցիտ չանալցու. ճա մոտ սրուլուած չամյլա-
ցնես ամ ջոցմիս Շյույոյերեծլուն աճամուն և ծոյնեցատան ճա տաճմյե-
հրաց լքուրեցիս პորոքիտան. մացրան և սուրալուս լույսու პհրօշիկամ
Շյուրացա ծցըրն սեյտ մոտեռնուլցիտ. հռմլուս չանեռն լույսու
Շիսձմուցելուու ոյս ճա սասահցեծլու. Հացելուու յը չանալցու լքու-
րեցիս մատմա մոլինա ալմուցեցիմա : Տուարիմա. ոնցլուսու լոներաց-
րուրեցիմա, սացրանցուտու հյետպատույնեցիմա, ուրալուս դաշուկիւց-
իմա. հոյնցուրմա ճա Յուրլուրմա. ամուս չամուրունուն մոտեռցւ
ալցուարու և սուրալուս լույսու սանցութու, հռմ, մարտալու, մատո ջո-
չիմա ճա մատո մետուցեցի սասերիկա ճամարկեցա ճա և սուրալուս լույսու
Տահրուցից ուղարկա ճա սասսերտա պայլուց. մացրան ծցըրն համ մատո
պհրօշիկամիօնան եռնցուրուցիմա եալեւտ լքուրեցիս միատ մոյր, զոնց
լքուրեցիս ջոցմիս մոյեցուտ յու ար ամենեցն, արամյեց միսու ծոյնեցիս
ճա հյալուր սապուրուցիմա մոյեցուտ.

ასეთივე ბერი იწვევდა ფაშიზმს, უ-იუ ის თოვლამა იქცა. დოგმა
პიროვნების შემმოქმედების ნაყოფია. მისი გრძნობების და ინდივი-
დუალური განვენებული აზროვნების შედევრია. პოლიტიკა კი—ხალ-
ხის საზოგადო ცხოვრება, ხშირად მრავალ ათეულ მილიონთა ასეთ
განცდებსა და აზროვნების შეიცავს და კიდევ მეტს ისეთს მოვლე-
ნებს. რომლებიც ადამიანის ბუნების გარეშე იმყოფება. ადამიანი ვე-
რასოდეს შექმნის ისეთს აპარატს, რომ ეს უმრავი, მუდამ მოძრავი
და ცვალებადი ელემენტები ერთს სასწორზედ დადგას. იანგარიშის,
ერთი პიროვნების თავში ჩაალავოს, ის პოლიტიკურ გეგმათ აქციოს
და შემდეგ ცხოვრების ცვალებადობა მას დაუმორჩილოს. ამის მი-
ხედით, იტალიური ფაშიზმის სწორად გაგებისათვის მასალად არ
გამოდევბა ის ფაშისტური ფილოსოფია, რომელიც მუსოლინის მი-
მდევრებს აქვთ შეთხული. ამ მასალების მიხედვით ძნელი გასა-
თვალისწინებელია ხვალინდელი ფაშისტური პოლიტიკა და მის მიერ
გადაჭრა მიმდინარე საშინაო და საგარეო საკითხებისა. ვისაც იტა-
ლიური ფაშიზმის სწორად გაგება სურს, მან უნდა გაეცნოს იტალი-
ის ცხოვრების ნამდვილ ვითარებას და მუსოლინის ბუნებასა და
თვისებებს. ასევე ითქმის ჰიტლერიზმსა, სტალინიზმსა და რუსელ-
ტიზმკერ.

მუსიკონამა ბევრჯერ სოქეთა, რომ ფაშიზმი საექსპორტოთ არ გამოდგება, მაგრამ ზოგიერთები ამას არ იჯერებენ და გადაქვთ სხვა ქვეყნებში და უცხო პირობებში და ამას იწყებენ ფაშისტური სალაშისა და უსტების გადაღებით. შედეგი ყველგან ერთია. ეს უცხო ყვავილი გაფურჩქვნამდე ჭრის უცხო ნიადაგზე.

და თუ ამ პოლიტიკურ-სოციალური სისტემების ბრძან მიზანებს



ასეთი შედეგები აქვს სხვა და სხვა ქვეყნებში, რასაკვირველია მას უფრო კარიკატურული სახე მიეცემა, როდესაც ამას ემიგრანტული წრეები შვრებიან. ემიგრაცია, რომელიც დაშორებულია თავის ქვეყნის რეალურს ცხოვრებას, მოკლებულია საშვალებას, რომ რეალურად შესცვალოს რამე სისტემა ახალით. ამას ის თავის ოცნებაში თუ მოახდენს და, რასაკვირველია, ამისთვის ბრძოლის ქარბუქის ატება, მიწევ-მოწევა და ვითომც ახალი დარაზმულობების შექმნა ქრისტიანული წისტერიალია, მაგნე თავის მოტყვილება და მეტა არაფერი. უცხო ულლის ქვეშ მყოფ ერსა და მის ემიგრაციას ერთად ერთი რეალური პოლიტიკის საგანი აქვს—საკუთარი პოლიტიკური ასტებობის დაბრუნებისათვის ბრძოლა, და აქ არ ასტებობს დემოკრატიული წყობის უვარების მხარეების რეალურად უარყოფის თუ კორპორატიული სისტემის შემოღების საკითხი. ყოველივე ეს ჩვენთვის შორეული საკითხია და მისთვის ეხლა თავის მტკრევა მეტად უსარგებლო საქმეა და მეტად მავნეც.

ემიგრანტულ ფაშისტებს და ჰიტლერისტებს უწინარეს ყოვლისა მ უდავო კეშმარიტების შეგნება მართებსთ. ყოველგვარი პოლიტიკური სისტემა, ლიბერალური, ფაშისტური თუ სხვა, მხოლოდ რეალური ცხოვრების საფუძვლებზე შენდება და არა ამა თუ იმ პიროვნების ოცნებაზე. მაგრამ ემიგრაციაში ასეთი პრანქიაობას შეიძლება სხვა ნიადაგიც ჰქონდეს. თავს თუ აქედანვე, ავნხსად ფაშისტად გამოვაცხადებთ და ყაყანს ავტეხავთ, მუსონლინი და ჰიტლერი ღვიძლ ქმებად თუ არა, ბიძა-შვილებად მაინც მიგვიჩნევენ და ვერდში ა-ჟუგიდვებიან. ესეც რომ არ მასდეს. საზოგადოება მაინც ასე იფიქრებს და მეტ ფასს დაგვდებს, ანგარიშში ჩაგვაგდებს. ასეთი ანგარიშიც უიმედო საქმეა. ერობის პოლიტიკოსები ასე გულჩვიოლი ხალხი როდია. ტებილ სიტყვას და თანაგრძნობის გამოცხადებას ისინი არავის ამაღლინ, მაგრამ როდესაც საქმე-საქმეზე მიღება, ისინი მუდამ ისეთ ძალებს დაეძებენ, ვისაც თავის ქვეყნის ცხოვრებაში მაგარი ძირები აქვს, ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენნო, და არა მხოლოდ ოცნებასა და სურვილებს.

პოლიტიკურ - სოციალური გარდატეხები, რომელსაც ამ ფამად განიცდის კაცობრიობა, ფრიად რთული მოვლენაა, და ადამიანი, რომელიც თავის გრძნობებით ცხოვრობს და ვონებას ნაელებად ამუშავებს, ადვილად დაიბნევა მის ლაბირინტებში. პარლამენტარიზმს ებრძევიან მარჯვნივ და მას თავს ესხმიან მარცხნივაც, სოციალისტები. აქედან ბევრს ისეთი დასკვნა გამოჰყავს, რომ დემოკრატიული სისტემის საფუძვლები საბოლოოდ წაქცეულია და კაცობრიობის პოლიტიკური ცხოვრება სულ ახალს, მის საწინააღმდეგო საფუძვლებზე აშენდება. ცხოვრებამ დამარცხა სოციალისტური პოლიტიკა და სოციალისტური პარტიები. ამაზედ ბევრი ისეთს დასკვნებს

აკეთებს, რომ სოციალისტური პოლიტიკა სავსებით წარსულს ექუთვნის. მაგრამ სინამდვილეში არც ერთი პოლიტიკური - სოციალური წყობა არ უთმობს ადგილს მეორეს ისე, რომ დიდი ნაწილი თავის ალემენტებისა ახალს არ უანდერძოს. ეკონომიკური ცხოვრების რეგლამენტაციის გეგმა, რომელიც ამერიკის პრეზიდენტმა რუზველტმა წამოაყენა, სტალინის სისტემის ბევრ ელემენტებს შეიცავს. ამ სისტემამ რომ ერთი ნაბიჯი გადადგას წინ და სტალინიზმა მოახდინს მცირე უკან დახევა ცხოვრების რეალურ მოთხოვნილებათა ზედგავლენით, ეს სისტემები ერთმანეთს შეხვდებიან. მით უმეტეს მოსალოდნელია ეს დემოკრატიულ და ფაშისტურ წყობათა შესახებ. განა იტალიური ფაშიზმი ის არის დღეს, რაც ათი წლის წინეთ იყო? მუსოლინი კიდევ ეხლა თავის ახალ გეგმებს ამჟღავნებს სოციალურს სფეროში. რუზველტის სისტემიდან ბევრი რამეს გადაღებას გვპირდება. და თვით სტალინის ექსპერიმენტებიდანაც. მაგრამ ეს არ ესმის მათ, ვინც ამა თუ იმ პოლიტიკურ სისტემაში მის გარეგნულ სახეს ხედავს და მის არსებით შინაარს ვერ ამჩნევს. ხოლო ვინც ამ შინაარს ჩაწვდება თავის გონებით, ის დაინახავს, რომ იტალიურ ფაშიზმს გაცილებით უფრო მკვიდრათ აქვს დამყარებული ლიბერალური პოლიტიკის უმთავრესი საფუძვლები—მოქალაქებრივი თავისუფლება, უფლებრივი თანასწორობა და სოლიდარობა, ვიდრე დემოკრატიულ ჩილის, პარაგვაის, ურაგვაის, თუ ჩინეთს. ამ მხრივ ფაშისტური პოლიტიკა უფრო ახლოა, ვთქვათ საფრანგეთის და ინგლისის დემოკრატიასთან, ვიდრე მექსიკის და ჩინეთის დემოკრატია.

ამ დიდ მსოფლიო გარდატეხს დროს ჯერ-ჯერობით ყოველივე დუღილს განიცდის და ძნელი გასათვალისწინებელია მთელი სახეობა იმ პოლიტიკურ - სოციალურ სისტემისა, რომელსაც ის დაამყარებს სხვა და სხვა ქვეყნებში. ერთი რომ უკვე ნათელია მომხდარ ცვლილებათა მიხედვით: როგორც მუდამ, ისევე ეხლაც ცხოვრება არ მისცემს რეალურ განაღვებას არც ერთ განყენებულს დოგმას და სისტემას, არამედ შეითვისებს და კიდევ უფრო საფუძვლიანად განამტკიცებს ლიბერალურ - დემოკრატიულ პოლიტიკის უმთავრეს საფუძვლებს, ისევე როგორც ფაშისტური და სოციალისტური პოლიტიკის ბევრ ახალ პოლიტიკურ და სოციალურ გეგმებსა და მოთხოვნილებებს.

აღ. ახათიანი.

რაოდველი ერი, როგორც მშენებელი

(ეკონომიური ეტიუდი).

ეკონომიურს მეცნიერებაში სახალხო მეურნეობის კითარების და სინამდვილის გამოსარევევად, სულ პირველად იხმარებოდა ე.წ. სტატისტიკური მიღვმა მოვლენათა გაცნობიერებისათვის. შემდეგს პერიოდებში კვლევა-ძიების საგნის, ობიექტის, უფრო სრულად დასურათებისათვის იწყეს ანკეტების მოხდენა და ადგილობრივი დაკითხები; ყველა ეს მოთავდა ცალკე მონოგრაფიების შედეგნით, რომლის საშუალებით ხდებოდა უფრო ღრმა შეფასება კონომიურ თუ სოციალურ მოვლენათა. დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ ამ სამს მეთოდზედ იყო დამყარებული ერის თუ სახელმწიფოს ეკონომიური მდგომარეობის გაშუქება. შემდეგს ეპოქაში, როცა საზოგადოების განვითარება და მისი მოთხოვნილება უფრო მაღალ საფეხურზედ ავიდა და შასთან ერთად აიწია ხალხის კულტურული დონე, ჩნდება მთელი რიგი ინსტიტუტებისა, სადაც წინანდელ მეთოდების მოხმარებასთან ერთად, სწარმოებს უფრო ღრმა მეცნიერულის თვალთაზრით შეფასება სამეურნეო მოვლენათა, მათი ურთიერთ შორის დამკიდებულების გამოცნობით შემჩნეულ ცვლილებების აღწერა-აღნუსხვით, შეფასებით და სხვა... ეს ინსტიტუტები, ამ უამად, ნამდვილ მეცნიერულ ლაბორატორიებათ გარდაიქმნენ; მათ ჩვენ ვიხილავთ, როგორც აქ, პარიზში, ესევე გერმანიაში, ინგლისში და ამერიკის შტატებში.

არ უნდა მტკიცება მას, რომ ჩვენ, ქართველები, ჯერ კიდევ ძალიან შორსა ვართ, რომ სწორეთ ამნარის საშუალებით და მეთოდებით გავერკვიოთ ჩვენი ქვეყნისა და ერის ეკონომიურს სინამდვილეში. ამ სფეროში ჩვენ კიდევ პირველ - ყოფილის მდგომარეობაში ვიმყოფებით, როგორც საჭირო მასალების ნაკლუვნელობით, ისევე იმ მეთოდების სიმარტივით, რომლის საშუალებით ხდება აღნუსხვა, დალაგება, შეფასება და შეგნება საქართველოს ეკონომიური მდგომარეობისა. ჩვენ კვლევა-ძიებებში, იძულებულნ ვართ დავყმაროთ მხოლოდ სტატისტიკურს მეთოდს, ვინაიდგან ჩვენში არამც თუ არ არსებობს ყურადღების ღირსი მონოგრაფიები, არამედ ანკეტები და ადგილობრივი დაკითხვებიც-კი არა გვაქვს თითქმის. აქვე უნდა ითქვას, რომ თვით ის სტატისტიკური მასალა, რომელიც ხელთა გვაქვს, ძალიან შორს არის სისრულეზედ. დაგროვილიც „ცარიზმის“ დროს, მათი მთავარი შემქრებნი, მეტ წილად, სოფლის სულ პატარა მონელენი ან „სტრაუნიკები“ იყენენ. ბოლშევიკების ხანაში-კი, ხშირად, სტატისტიკა წარმოადგენს ხელოვნუ-

რად აკინძულ მასალას, საიდანაც ჩვენ მას კი ვერ დავინახავთ, რაც ნამდევილად არსებობს,, არამედ მას, რაც ბოლშევიკებსა სურსთ. ამიტომ, ჩვენ წინასწარ უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველი ცდა, არსებულის სტატისტიკურის მასალების საშუალებით, გამოვიცნოთ ნამდვილი ვითარება ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური მდგომარეობისა, არის ერთგვარი მიახლოვება იმისადმი რაც სინამდვილეშია მოცემული. ამ მხრივ გაცილებით უკეთეს პირობებში იყო ჩაყენებული შიდა რუსეთის ეკონომიკის გამოკვლევა. იქ არსებობდა საკმარის კარგად მოწყობილი ერობათა სტატისტიკა, რომელმაც მიუხედავად მთავრობის მიერ შევიწიობისა, მაინც მოახერხა დიდი და საყურადღებო მასალის დაგროვება.

რუსეთის მთავრობის მიერ საერობო დაწესებულებანი არ იყო ჩვენში დაშვებული, მიუხედავად იმისა, რომ სამოციანი წლებიდან დაწყებული, სულ ბოლომდე, საქართველოს სათავად-აზნაურო ყრილობანი დაუინგბით მოითხოვნ მათ შემოლებას. ერობის მაგიერ, რუსეთის მთავრობამ, მეოთხმოცე წლებში, ჩვენში „ერობის სტრაჟა“ შემოიტანა, „ზემსკაია სტრაჟა“, ე. ი. სახელმწიფო პოლიცია და ქართველების, თითქოს, ცხეირში ამოსაკრავად, როგორ გაბედეთ და საერობო დაწესებულებანი მოინდომეთო, ხარჯი „სტრაჟის“ შესანახად, რუსის სახელმწიფოს ხაზინაშ კი არ მიიღო თავის-თავზე-არამედ ქართველ ხალხსავე დააკისრა.... და აი ამ „სტრაჟის“ ურიანიკი-იასაულები და მათთან სოფლის მწერალნი და გზირები იყვნენ, უმთავრესად, სტატისტიკური მასალების შემკრები. ამნაირს ყოფაში წარმოსადგენია ის სიძნელენი, რომელიც წინ უდევს სეინ-დისიერ მკვლევარს...

შევეცადოთ, მაგალითად, ციფრებით გამოვხატოთ ის სივრცე, რომელიც საქართველოს ოესპუბლიკას უჭირავს. ჩვენ ყოველთვის გვახსნოვდეს, რომ 1921 წლამდე, საქართველოს ტერიტორია შეიცავდა 76.300 კვ. კილომ.—66.359 კვ. ვერსტს, ან 7.540.000 დესეტინას; ეხლა-კი ტფილისის კომუნისტური უნივერსიტეტის ლექტორი, ვინმე დუბენსკი, გვიმტკიცებს, რომ საქართველო შეიცავს მხოლოდ 57.960 კვ. კილომ., მაშინ როდესაც პროფესორი გეხტმანი უკვე 67.960 კვ. კილომ. იძლევა. ბოლშევიკების მიერ გამოცემულ კრებულში (ნარ. ხოზ. გრუზია), საქართველოს სივრცედ მიღებულია 69.525 კვ. კილომ.=61.091 კვ. ვერსტი, და სულ ახალის მასალების მიხედვით-კი, საქართველოს ახალი დარაიონების დროს რომ იყო მიღებული, ნაჩვენებია: 70.046 კვ. კილომ. ეს უკანასკნელი ზომაც 6.254 კვ. კილომეტრით უფრო ნაკლებია, ვიდრე ეს მიღებული იყო 1921 წლამდე. ჩვენი ტერიტორიის ამ შემცირებით, უკველია, ბოლ-

შევიყებს მოუსურევებიათ ცხოვრებაში ის ხაზი გაეტარებინათ, რომელიც წარმოდგენილი იყო, მათი ერთი დიდი ბობოლას მიერ, რათა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების ახალ-დარაიონების დროს, მოხდეს წაშლა „სტირანიე“ პოლიტიკური საზღვრებისა“. მეორე მათი დიდი ბობოლა, რომელიც სწორეთ ს.ს.ს.რ. ახლად დარაიონების მუშაობაში იყო ჩაბმული, ამიერ-კავკასიისათვის ისეთი დარაიონებას ურჩევდა, სადაც ცენტრი ტფილისში-კი არ უნდა დაჩინონიყო. არამედ გადატანილიყო ვლადიკავკაზში! უფრო გულ-ახდილ რჩევას იძლეოდა ბოლშევიკი, ვინმე „აჩ“, იგი აი რაგვარი პროექტი, გატარებას ცდილობდა: „ტფილისის რაიონში უნდა შევიდეს მაზრები—ტფილისის, ახალქალაქის, ბორჩალოსი და დუშეთისა. ამნაირად შემდგარი ლექის მცხოვრები იქნება სულ 576.983. აქედან: სომხეთი—32,6%; ქართველები ამზედ, რასაკვირველია, ნაკლები—31,6%; რუსები—10,8%; თათრები—14,3%; დანარჩენნი—10,7%! ამნაირს დარაიონებაში ჩვენ თვალნათლად ვხედავთ ცდას, მაზრების დაყოფვა ისე მოეხდინათ, რომ აღმოსავლეთი საქართველოში ქართველები ეროვნულ უმცირესობათა მდგომარეობაში ჩაეყინებინათ; ამითი დაერღმიათ საქართველოს მთლიანობა და ერთსახეობა, რაიც ჩვენს ხალხს გაუმნელებდა მისი ეკონომიკის მშენებლობის ნორმალურის გზითი სელასაც.

ჯერ-ჯერობით ეს ვერ შესძლეს ბოლშევიკებმა. ოუმცა ხელოვნური ზომები ამისათვის მათ მრავლად იხმარეს და კვლავც ხმარობენ, მაგრამ სინამდვილეს ისინიც ვერსად წაუკიდენ და თვით მათი სტატისტიკური მასალები მოსახლეობის აღრიცხვის შესახებ ასეთს ცნობებს იძლევა: 1926 წ. საქართველოში სულ იყო მოსახლეობა—2.666.494 მცხოვრები. აქედან სოფლად სცხოვრობდენ 2.072.273 (77,7%), ქალაქად-კი—594.221 (23,3%).

ეს მოსახლეობა ეროვნულად ასე ყოფილა დანაწილებული:

ეროვნებანი:	სოფლად:	ქალაქად:
ქართველები	72,45%	48,25%
სომხები	7,59%	25,16%
რუსები	1,23%	11,84%
ყველა დან. ერ.	18,73%	14,75%

1929 წლის აღრიცხვით საქართველოში უკვე 2.718.000 მცხოვრები ირიცხებოდა. აქედან, საქართველოს დედა-ქალაქს ტფილისში იყო:

ქართველები	42,9%.
სომხები	33, %
რუსები	13,9%
დანარჩენები	10,2%

სულ 100 %

ჩვენის გამოანგარიშებით, ომადე, საქართველოს მოსახლეობის ყოველ წლიური ზრდის ნორმა იყო 1,1%. რეკოლუციისა და ბოლ-შევიების შემოსევის შემდეგ ეკონომიური და პოლიტიკური მდგრა-მარეობის გაუარესების მეობებით ამ ისედაც საქმოდ ნაკლებმა ნორმამ კვლავ იკლო და თუ ეხლა ამ ზრდას მხოლოდ 1% ჩავთვლით, 1933 წ. მოსახლეობა გამოიხატება დაახლოვებით, 2.853.000 მცხოვრებით. ამ რიცხვში ქართველები უნდა იყოს არა ნაკლები 2.139.800. არა ქართველთა რიცხვი კი არ უნდა აღემატებოდეს 25-27%. გავიხსენოთ, რომ ცენტრალურ ევროპის სახელმწიფოებშიც სწორედ ამ პროცენტებით აღირიცხება ის მოსახლეობა, რომელიც ეროვნებათა უმცირესობას შეადგენს. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ იმ სახელმწიფოებში ეს უმცირესობანი ეკუთვნიან მხოლოდ ორიოდე ეროვნებებს, ჩვენში-კი არა-ქართველი 9-10 ეროვნებათ არის წარმოდგენილი. ცენტრალურს ეკროპაში ზოგი ეროვნული უმცირესობა 20 პროცენტამდე აღის. როდესაც ჩვენში, ყველაზე დიდი უმცირესობა, სომხები, ძლივს თერთმეტ პროცენტამდე ავიდა.

ამნაირად, საქართველოს რესპუბლიკის პატრიონად ისტორიულადაც და ფაქტიურადაც ქართული მოდგმის მოსახლეობაა დღე-საც, მიუხედავად ჩვენი მტრების ცდების, რომ ეს სხვანაირად ყოფილყო; ეს გარემოება ჩვენს ერს. უფლებებთან ერთად, განსაკუთრებულ მოვალეობასაც აყისრებს და სწორედ მას ხდის პასუხის მგებლათ იმ მშენებლობაში, რომელიც ჩვენში სწარმოებს.

რომ სიტყვა არ გავიგრძელებოდა, ჩჩენ აქ არ წარმოგვიდგენია სტატისტიკური კითრების სხვა და სხვაობის ყოიანი ნიმუშები. ამას არც შემდეგში ვაპირებთ. ვიტყვით მხოლოდ, რომ სტატისტიკური მასალების მერყეობა, მათი არა სიმტკიცე თუ ცვალებადობა კველა დარგში ისეთივე, როგორც ჩრმოლაა ნაჩენები. ამიტომ დიდის სიფრთხილით უნდა ვისარგებლოთ, როგორც „სტრაუნიკების“, ასევე „საბჭოების“ დროის დაგროვილი მასალებით. რასაკვირველია ასე-თი კითარება სავალალოა. აგერ ასოციაციი წელიწადია, რაც სა-ქართველო რუსეთს სელში ჩაუვარდა და აქნობამდე მათ ისიც კი ვერ მოუხერხებიათ, რომ სტატისტიკური ცნობათა შეკრება ხდებოდეს სწორად და წესიერად. ეს მით უფრო დაუშვებელია, რომ რუსეთს, 1801 წელს, საქართველოში დაუხვდა მთელი წყება სხვა

და სხვა სახელმწიფო დაწესებულებებისა და უკანასკნელთა შორის საუცხოვოდ მოწყობილი სტატისტიკური აპარატი, თავისი პერსონალით, განწყესებით, და გამოცდილი მეთოდებით. ეს საქმიანობა არ შეწყეტილა მაშინაც, როცა აღა-მაჰმად-ხანმა ორჯერ ააწიოკა საქართველო. ჩვენი მეფეთა განკარგულებით სტატისტიკური აღწერა, აუცილებლად. შეიძლო წელიწადში ერთხელ უნდა მომზდარიყო! ერეკლე მეორის ბრძანებით ერთი აღწერა 1780 წელსაც მომზდარა და ასლი იმ აღწერისა ჩაეკრძალულია იმ ტრაქტატში, რომელიც მან რუსეთთან დასდო. ჩვენი დედა-ქალაქის ტფილისის, აღწერა მაჰმადხანის დაცემის ხანაშიც მომზდარა, როცა ეს ჩვენი საშინელი მტერი უკან გაბრუნებულა. ამის შესახებ ვრცლადა აქვს ნამბობი ჩვენს ისტორიკოსს ივ. ჯავახიშვილს, თავის „საქართველოს ეკონომიკური ისტორიაში“.

ქართველი მოსახლეობის დანაწილება, მიხედვით მისი ბინადრობისა, როდესაც სოფლიდ ცხოვრობს $77,7\%$, მთელი მოსახლეობისა და ქალაქად-კი, მხოლოდ— $22,3\%$. უკვე ცხად ყოფს საქართველოს ეკონომიკურ სტრუქტურას: იგი უმთავრესად „სასოფლო მეურნეობის მხარეა, ძალიან ნაკლებად განვითარებულ ქალაქის მოსახლეობით. თუ სახეში იმასაც მივიღებთ, რომ $6.042.000$ დესეტ. ფართობზედ, რომელიც საქართველოს ტერიტორიას შეადგენს, მხოლოდ $66,7\%-ია$ მეურნეობისათვის ვარგისად ცნობილი მიწები და $33,3\%-კი$ უვარვისია, ჩვენ დავინახავთ, რომ საქართველოს სოფლების ასეთი ძალზედ დატვირთვა შეუძლებელია გამოწვეული და გამართლებული იყოს სალი ეკონომიკურის მოსაზრებით. სოფლის ასეთმა დატვირთვამ მიწების უკიდურესად დანაწილება გამოიწვია. აი ამის ცხადი ილუსტრაცია: ამ უამად თითო კომლზედ მოდის მიწები: საქართველოში— $3,8$ დეს., სომხეთში— $5,08$ დეს., აზერბაიჯანში— $6,7$ დეს. ამის მიხედვით ასეთია აღრიცხვა ღარიბთა და შემძლე (“კულაკების”) გლეხების:

ერგები	ღარიბები	„კულაკები“
საქართველო	$41,2\%$	$9,7\%$
სომხეთი	$14,8\%$	$15, \%$
აზერბაიჯანი	$18,6\%$	$31,9\%$

გაერკვით, როგორია საქართველოში სასოფლო-მეურნეობის მდგრადიარეობა. ვარგისი მიწები, ე. ი. $66,7\%$ საქართველოს ტერიტორიისა, უდრის— $4.022.000$ დჭერინას. აქედან :

კულტ. მეურნ. უჭირავს	919.000	დეს.	23%	ყველა ვარგ. მიწებისა.
საძოვრებს უჭირავს	935.000	”	23%	” ” ”
ტყეებს უჭირავს	2.168.000	”	54%	” ” ”

სულ $4.022.000$ დეს. 100%

მთელი ვარგისი მიწების ფართობში მოდის:	სახნავი მიწები — 20,3%
	სათიბი „ 1,8%
	ბალ-ვენახები 0,9%

თუ მხოლოდ კულტურისათვის გამოსაღევ მიწებს მივმართავთ (919.000 დესეტ.), აქ მიწების დანაწილება ასეთია:

სახნავები	88,1%
სათიბები	7,9%
ბალ-ვენახები	4,0%
	100 %

ამ ცხრილებიდან ჩვენ ვხედავთ, რომ საქართველო ორიმც თუ უმთავრესად სასოფლო-მეურნეობის ქვეყანაა. არამედ იმასაც, რომ ამ მეურნეობაში უმთავრესი დარგი პურეულის თესვა-მოყვანაა არის. სტატისტიკური მასალები გვიჩვენებენ, რომ მთელი ვარგისი მიწების ფართობზედ, მხოლოდ 26.000 დესეტინაა მიჩნეული იმნაირ კულტურებისათვის, როგორც არის ქართველი, ბამბა, კომბოსტო, თამბაქო და სხვა... ამ უამად ცდილობენ ეს რაოდენობა 60.000 ჰეკტარამდე იყვანონ. მეურნეობის დღევანდველი წესები იმასაც გვიჩვენებენ, რომ ჩვენში ყოველ-წლივ მოუხნელად რჩება 250.000 დესეტინძღვ; არის წლები, როდესაც მათი რაოდენობა 400.000 დესეტინამდეც აღწევს! ამ უამად ეს არის ერთად-ერთი საშუალება, რათა მოსახნავ მიწებს დაუბრუნდეს მათი ბალ-ლონე. კატასტროფულად დალეული. პურეულობის შორის უმეტეს წილად სიმინდი ითხება; პურის ყანები თან-და-თან კლებულობს და სიმინდის უთმობს. ის ჩარჩოები, რომლის ფარგალში ხდება საქართველოს მოსახლეობის საქმიანობა; სწორედ რომ ითქვას, ეს არ არის მხოლოდ „ჩარჩო“ ერის მეურნეობისა. იგია თვით „მეურნეობა“, რაშიაც იხსტება ქართველი ხალხის სამეურნეო უნარიანობა; სწორედ აქ იჩენს თავსა ჩვენ ერი, როგორც მშენებელი. მართალია, ეს მხოლოდ სასოფლო-მეურნეობის დარგია. ჩვენი ერი სხვაგვერ მოლვაწეობა-საქმიანობა-საც ეძლევა, ამაზეც ქვემოდ გვექნება ბაასი, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ სწორედ სასოფლო - მეურნეობაშია ჩაბმული ჩვენი ერის 80 პროცენტამდე და იგია უმისი მთავარი საქმიანობა.

უნდა პირდაპირ ითქვას, რომ ეს საქმიანობა, მიწების ამნაირ დარჯებათ დანაწილება, სრულდებით არ უდგება ჩვენი ქვეყნის მდგომიარეობას - ჰავას, არც მისი მიწების თვისებებს და მეტადრე არც ქართველი ხალხის, ამ ძელი კულტუროსანი ერის უნარიანობას,

რომელიც უხსოვარ დროიდან ღრმადაა ჩაბმული სასოფლო - მეურნეობის წარმოებაში. ეს წარმოება, ყოველთვის ურთულეს და უძნელეს დარგათ ყოფილა ცნობილი. ტყუილად კი არ იყვნენ კულტუროსან ერებად ჩათვლილნი ის ხალხები, რომელთაც პირველად იზრუნეს პირი მიწებისაკენ, მათ დასამუშავებლად და მოსავლელად.

გორგი უურული.

(გაგრძელება შემდეგ).

სტატისტიკური ცნობები საჭართველოს შესახებ.

წინასიტყვაობა.

ქვემოდ დაბეჭდილი მცირე ნარკვევის შესაფერნად უკანაკენელ წლებში საქართველოში მოხხენილი სტატისტიკური აღწერების ძალაშებითა და იქ გამოცემული ეკონომიკური თუ გეოგრაფიული ხასათის შრომებით ვისარგებლეთ. ჩვენდა სამწუხაროდ ვერ ვიშოვნეთ ყველა საჭირო მასალები. ამიტომ ეს შრომაც არ შეიძლება სრული და ამომწურავი იყოს. არც მასში მოთავსებული ცნობების სისწორის შესახებ შეგვიძლია პასუხისმგებლობა ვიკისროთ. მიუხედავად ყველა ამ ნაკლთა, ჩვენ მას მაინც ვძეჭდავთ. ვფაქტობთ, მასში საკმაოდ არის მოთავსებული ფრიად საყურადღებო მასალა ჩვენი ქვეყნის რაობისა და მდგომარეობის შესახებ. ეს მასალა, ვფიქრობთ, საინტერესო იქნება სამშობლოდან მრავალი წლებით მოწყვეტილ ქართველისათვის. ემიგრაციაში ხშირია შემთხვევა, როცა ეს თუ ის მწერალი, უურნალისტი, თუ მოაზროვნე ეძებს საქართველოს შესახებ საჭირო ციფრობლივს ცნობებს. მათ რომ ოდნავად მაინც მივეშველოთ, ესეც დიდი ზნეობრივს კმაყოფილებას მოგვცემს.

მშრალი ციფრები საკითხებად მოსაწყენია. იშვიათად თუ ვისმეს უყვარს მათი კითხვა. ამ შემთხვევებში კი ვფიქრობთ ბევრი აღმოჩნდება მოხალისე და გულისყრით ამ ციფრების გადამკითხველი. ვინაიდან ეს ციფრები შეეხებიან ჩვენ სამშობლოსა და ერს, რომელთა სიყვარული და პატივისცემა არ აკლია ქართველ ემიგრანტს.

საბჭოთა საქართველოს ტერიტორია (სრ. საქ. ცავის გამოანგარიშებით) უდირის 70,094 კვ. კილომ. საქართველოს მოსახლეობა (1926 წ. სტულიად საკავშირო აღწერის მიხედვით) 2,666,494 სულ. ერთ კვ. კილომეტრზედ საშუალოდ მოდის 37,8 მცხოვრები.

მოსახლეობა სქესის მიხედვით : მამაკაცი — — 1.347.513.
დედაკაცი — — 1.318.981.

მოსახლეობის საერთო რიცხვიდან : ქალაქ. ცხოვ. 594.221.
სოფელში — 2.072.273.

მოსახლეობა ეროვნებათა მიხედვით :

ქართველი	1.809.083	მთელი მოსახლ.	68,4%
სომები	307,018	—	11,6%
თურქი	137,921	—	5,2%
ოსი	113,298	—	4,3%
რუსი	96,085	—	3,6%
აფხაზი	56,847	—	2,2%
ბერძენი	54,051	—	2 %
უკრაინელი	14,356	—	0,6%
გერმანელი	12,074	—	0,5%
უკრ. ტომის ებრაელი	9,262	—	0,4%
დანარჩენი ეროვნება	56,499	—	1,2%

საქართველოს მოსახლეობა სტატისტიკური ორგანოების გამო-
ანგარიშებით 1931 წელს უდრიდა 2.903.361 სულს. აქვე აღსანიშ-
ნავია, რომ საქართველოს მოსახლეობა 1897 წლის აღწერით უდ-
რიდა 1.927.530 სულს.

საქართველოს მოსახლეობა სწავლა-განათლების მხრივ შემდეგ
სურათს იძლევა :

1931 წ. არსებობდა სკოლის პასაკამდე აღმზდელი 357 საბავშო
ბალი 38.848 ყრმაწვილით; 1930-31 წწ. 3.275 პირველი საფეხურის
სკოლა 320.281 მოსწავლით; 1929-30 წწ. 7, 8 და 10 წლები სკოლა
2.683—312.547 მოსწავლით; ამავე წწ. პროფესიონალური განათ-
ლების სპეციალური ტეხნიკური 58 — 11.169 მოსწავლით; 1930-31
წწ.—უმაღლესი სასწავლებელი-ინსიტუტი 15—13.867 მოსწავლით;
წერა-კითხვის მცოდნენი 1931 წელს მთელი მოსახლეობის 84%
შეადგენდა.

1931 წ. არსებობდა 63 უურნალ-გაზეთი, რომელთა საერთო ტი-
რაჟი იყო 650.0000 ცალი; ამავე წელს წიგნების ტირაჟი უდრიდა
2.545.800 ცალს.

საქართველოს რაიონებად დანაწილება:

საქართველო დაყოფილია შემდეგ აღმინისტრატიულ ერთეუ-
ლებად: ავტონომიური ერთეული—3; საქალაქო საბჭო—3; რაიო-
ნი 49. მთელი საქართველოს ქალაქთა რიცხვი უდრის 26, დაბათა
—16.

საქართველოს მთავარი ქალაქების მოსახლეობა :

1930 წელს მომხდარ მთავარი ქალაქების მოსახლეობის აღწერით, მათი მცხოვრებთა რაოდენობა ასეთია: ტფილისის—309.185; ქუთაისის—53.326; ბათუმის—51.010; სოხუმის—23.824; ფოთის—14.450; ჭიათურის—6.866.

ტფილისის მოსახლეობა 1930 წ. ეროვნებათა შინედვით.

	რაოდენობა	%/ე/ მოსახლეობის საერთო ჯამთან
ქართველი	133.865	43,3
სომები	102.173	33,0
რუსი	43.006	13,9
თურქი	6.174	2,0
უცხო ტომის ებრაელი	8.188	2,6
ოსი	3.844	1,3
გერმანელი	2.527	0,9
ბერძენი	1.388	0,5
პოლონელი	1.143	0,4
ეზიდი	1.541	0,5
აისორი	2.293	0,7
1922 წელს ტფილისში ითვლებოდა ქართველი	80.884	
—	სომები	85.309
—	რუსი	38.612
ამ აღწერასთან შედარებით 1930 წ. ჩატარებული აღწერით:		
ქართველების რიცხვის ზრდა უდრის	64,30%	
სომების	—	20,30%
რუსების	—	11,50%
1926 წლ. აღწერის დროს ტფილისში იყო: ქართველი	112.206	
—	სომები	100.148
—	რუსი	45.937

საერთოდ ტფილისის მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა ასე იცვლებოდა პროცენტობით :

წლები:	ქართველი:	სომები:	რუსი:
1876	24,20%	41,00%	22,00%
1897	27,20%	31,90%	26,80%
1917	25,30%	33,70%	28,10%
1922	34,60%	36,50%	16,50%
1926	38,50%	34,40%	15,80%
1930	42,90%	33,00%	13,90%



ტფილისის მოსახლეობის საერთო ზრდა :

1897 წ.	146.164	—
1926 წ.	294.044	101,3%/ θ -ით
1930 წ.	309.185	111,“%/ θ -ით

სასოფლო მეურნეობა :

მთელ საქართველოში სულ 7.009.400 ჰექტარი მიწაა. აქედან სამოსახლო—72.300 ჰექ.; სახნავ-სათესი—1.193.300 ჰექ.; სავენახე—37.400 ჰექ.; საბალისნო—17.100 ჰექ.; სათიბი—102.600 ჰექ.; საძოვარ-საბალისნო—1.744.200 ჰექ.; ტყე—2.468.300. სულ ვარგისი მიწაა 5.634.900 ჰექ.; უარგისი—1.374.500 ჰექ.

ვარგებული მიწის რაოდენობა ასეა განაწილებული : სახელმწიფო-საფონდო—3.287.000 ჰექ.; გლეხობის შრომითი სარგებლობაში—2.268.000 ჰექტარი. თითო სულზედ გამოსაღევი მიწა მოდის —0,64 ჰექტარი.

1931 წ. იყო 463.000 გლეხთა მეურნეობა.

1931 წ. საბჭოთა მეურნეობის საერთო ფართობი იყო 278.023 ჰექტარი. ამავე წელსვე ასებული კოლმეურნეობათა რიცხვი იყო 3.500, რომელშიაც შედიოდა 173.133 წევრი.

1931 წ. ასებობდა 14 სატრაქტორო სადგური—436 ტრაქტორი, რომელთა სამუშაო ძალა უდრიდა 5.584 ცხენის ძალას.

1931 წ. სახნავ-სათესი მიწის საერთო სივრციდან დათესილ ოქმა 914.721 ჰექ., აქედან მარცვლეული კულტურების ფართობები . შეადგენდა 765.248 ჰექტარს.

მევნეობა :

1931 წ. საქართველოში ვენახებით გაშენებული ადგილების სივრცე უდრიდა 39.500 ჰექ. (აღსანიშნავია, რომ 1913 წ. ვენახებით გაშენებული ადგილების სივრცე უდრიდა 49.430 ჰექ.).

1931 წ. ვენახით გაშენებული ადგილების სივრციდან : საბჭოთა მეურნეობაში იყო 1.380 ჰექ.; კოლექტიურს მეურნეობაში—6.500 ჰექ.; ინდივიდუალურს-კერძო მეურნეობაში—31.620 ჰექ.

1930 წ. ღვინის საერთო მოსავალი უდრიდა 153.960 ტონას.

მეხილეობა :

1931 წ. ხილის ბალების სივრცე უდრიდა 21.631 ჰექტარს, აქედან საბჭოთა მეურნეობაში იყო მოქცეული 1.335 ჰექ.; კოლექტიურში—5.172 ჰექ.; ინდივიდუალურ-კერძოში—15.124 ჰექტარი.

ამავე წელს ბალების მოსავალი უდრიდა 142.000 ტონას.

1931 წ. ბალჩა-ბოსტნის სივრცე უდრიდა 17.960 ჰექ. და ბოსტნეულობის მოსავალი—174.00 ტონას.

1931 წ. თამბაქოთი დათესილი მიწების რაოდენობა უდრიდა

24.910 ჰექტარს. თამბაქოს მოსავალი ამავე წელს—12.385 ტონას.

1931 წ. ბამბით დათესილი მიწების რაოდენობა უდრიდა 21.773 ჰექტარს. ბამბის მოსავალი ამავე წელს 12.343 ტონას.

1931 წ. კანაფით დათესილი მიწების რაოდენობა უდრიდა 3.875 ჰექტარს.

1931 წელს შაქრის ჭარხალით დათესილი მიწების რაოდენობა უდრიდა 1.127 ჰექ.; სელით დათესილი მიწების რაოდენობა—1.725 ჰექტარს.

1931 წ. ჩაის პლანტაც. სიერცე უდრიდა 22.502 ჰექ.; საერთო მოსავალი (გადამზადებული მწვანე ჩაი) უდრიდა 1.770 ტონას; მზა-გამხმარი საბოლოდ დამზადებული უდრიდა 71.000 კილოგრ.

1931 წ. ნარინჯოვან კულტურებს (ლიმონი, ფორთოხალი, მან-დარინი) ექირათ 1.000 ჰექტ.

მესაქონლეობა :

1930 წ. იყო ცხენი 105.7000; მსხვილფეხა საქონელი—1.598.000; წვრილფეხა—2.694.200.

ბუნებრივი სიმდიდრენი :

შავი ქვა. ჭიათურის შავი-ქვის ბუდობსთ უჭირავს 126 კვად-კილომ.; მისი მარაგი უდრის 120-240 მილ. ტონას (დანარჩენი შავი-ქვის ბუდობების სიერცე გამორკვეული არ არის).

1931 წ. ჭიათურის მაღაროებიდან ამოუღიათ 1.623.500 ტონა.

ქვა-ნახშირი : ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვა-ნახშირის მიღა-მოების საერთო მარაგია 300 მილ. ტ. 1931 წ. ამოუღიათ 142.000 ტ.

სპილენძი : ოვედორაკის სპილენძის მაღანის საერთო მარაგს ან-გარიშობენ—100.000 ტონამდე. (სამწუხაოდ ჯერ კიდევ გამო-კვლეული არ არის ნავთის, რკინისა და სხვა მაღნეულობათა სიერ-ცე და საერთო მარაგი).

საქართველო მდიდარია საბანაო თუ სასმელ-სამკურნალო მი-ნერალური წყლებით. ამ ხნობით კულტურულად მოწყობილია—23 წყარო და აბანო. აღსანიშნავია, რომ ბორჯომის წყალი თავისი დაუ-ფასებელი ოვისებებით დიდ ქიშპობას უწევს საფრანგეთის გამოქ-ნილ „ვიშის“ წყალს.

საქართველო მდიდარია საკურორტო-საგარაჟო აღგილებით. რომელთაგან ამ ხნობით კულტურულად მოწყობილია მხოლოდ 15.

მრეწველობა :

სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის პროდუქციის ხედრი-თი წონა შემდევ სურათს იძლევა:

წელი:	სოფლის მეურნეობა:	მრეწველობა:
1923-24	84,0% ₀	16,0% ₀
1931	54,0% ₀	46,0% ₀



(სამწუხაროთ არავაქვს ცნობა სამრეწველო დაწესებულებათა რაოდენობის შესახებ).

მუშათა რიცხვი მსხვილ მრეწველობაში 1931 წელს უდრიდა 31.198; სახალხო-მეურნ. კულტ. დარგებში უდრიდა 288.340 კაც.

მრეწველობის პროდუქცია 1931 წ.

აბრეშუმის გრეეა—173.600 კილო; ქსოვილი—1.094.000 მეტ-რი; გრეხილი ძაფი—24.000 კილო.

თამბაქოს წარმოების :

პაპიროსი—3.856 მილიონი; თამბაქო—100 ტონი.

სატყეო მრეწველობის :

ხის მასალა—146.000 კუბომეტრი.

სამთო მრეწველობის :

შავი-ქვა (1929-30 წ.)	—	1.623.500 ტონი.
-----------------------	---	-----------------

ქვა-ნახშირი (1931 წ.)	—	142.000 ტონი.
-----------------------	---	---------------

საფეიქრო მრეწველობა :

შალის ქსოვილი (1930 წ.)	466.000 მეტრი
-------------------------	---------------

ელექტროფიკაცია :

1931 წელს საქართველოში ითვლებოდა ჰიდრო და თბო - ელექტრონის 78 სადგური. მათი ელექტრონის ძალა უდრიდა 20.940 კ. ძ.

შემცირებულობის პროცესში იმყოფებოდა და 32 წ. უნდა ამუშავებულიყო 3 სადგური, რომელიც იცმოიცემიან 112.000 ცხენის ძალა.

უნდა აღნიშვნოთ, რომ საქართველოს ჰიდრავლიური (წყლის) ენერგიის სიმძლავრე უდრის დახლოვებით 14 მილიონ კ. ძ. და ამ მხრივ ეკრიბის ყოველ ქვეყანაზე უკეთეს მდგომარეობა. იმყოფება.

ვაჭრობა :

სავაჭრო დაწესებულებათა რიცხვი :	1929 წ.	1930 წ.
---------------------------------	---------	---------

სახელმწიფო სავაჭრო დაწესება.	512	482
------------------------------	-----	-----

კოოპერატიული სავაჭრო დაწესება.	2.953	3.606
--------------------------------	-------	-------

კერძო სავაჭრო დაწესებულება	8.366	3.663
----------------------------	-------	-------

სულ . . .	11.831	7.751
-----------	--------	-------

1928 წ. კერძო ვაჭ. ხვედრითი წონა უდრიდა	24,3%
---	-------

1929 წ.	7,3%
---------	------

სამწუხაროდ ხელთ არა გვაქვს საქართველოს საგარეო ვაჭრობის შესახებ საქმაო ცნობები. ერთის აღნიშვნა კი შესაძლებელია. ძლიერ გადიდება საქართველოში შემოზიდული ხორბლეულობის რაოდენობა; მაგალ. 1929-30 წ. შემოტანილ იქმნა 129,5 ათასი ტ. ხორბალი და 67,6 ათასი ტონა სიმინდი.

ამის მიზეზად ასახელებენ ტეხნიკური კულტურის მიერ სასოფ-

ლო მეურნეობიდან ხორბლეულობის კულტურის თანდათან გან-
დევნას.

გზები და მიმოსვლის საშუალებანი :

საქართველოში სხვა და სხვა მიმართულებით გაყვანილ რკი-
ნის-გზის შტოთა რაოდენობა უდრის 10-ს—სულ 549 კილომეტრს.

ეს შეადგენს ტერიტორიის 100 კვ. კ. დაახლოებით 1,3 კილმ.
რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზა-ტკეცილების რაოდენობა
უდრის 11, მათი სიგრძე საერთოდ უდრის 1.317 კილმ.

ეს შეადგენს ტერიტორიის 100 კვ. კილმ. 7 კილმეტრს.

საქართველოს შავი-ზღვის სანაპირო ხაზი უდრის 322 კილმ.

ელ. პატარიძე.

სოხებ - ჩართველთა დამოკიდებულობის გარემო

რას ფიქრობენ სომხების და ქართველების ბელადები ? *)

... დავუბრუნდეთ ხელახლა სომხების და ქართველების ურთი-
ერთობას. როდემდის გაგრძელდება, ერთი ბედის მონაწილე, ამ ორ
ერთა ერთმანეთის არ გაეგბა? მძიმეა, მეტად მძიმეა ეს საკითხი. იგი
კაი ხანის ელოდება თავის პასუხს. ელოდება გადაჭრას სომებ-ქართ-
ველთა ურთიერთობის კვინძისას, რომელიც ამ ორი ერთს წინსკლის
გზაზე, აღმართული ეკლიან ბუჩქისავით, შეუძლებლად ხდის მასს
აუდილს, გულწრფელს შეთანხმებას, როგორც მშვიდობიანობის ხანა-
ში, ასევე უბედურ დღეებშიც.

ტერიტორიალურია ეს საკითხი? —არა; იგი სულ ადვილი მო-
საგვარებელია. იქნებ ამისა მიზეზი იმალება ეკონომიურ ნიადაგზე
შეჯდებებაში? —არა და არა. ეს ორი ხალხი თავისი ბუნებრივი თვი-
სებებით მოწოდებულია უფრო ერთმანეთის შევსება-დამატებისათ-
ვის; ვიდრე მეტოქეობისათვის. ან და იქნებ ერთს ქვეყნის საზღვაო
შდგომარეობა უქმნის უპირატესობას და ამიტომ ხდის მას გულ-
გრილს და უცხოს მეორესადმი, რომელსაც არა აქვს ზღაპაზე გა-
საგალი? მაგრამ განვლილ სუუკუნობის მანძილზე განა არ და-
მტკიცდა, რომ ქართველ ერთ ზღაპა ვერაფელს უშველიდა თუ შეს
სამხრეთიდან არ ექნებოდა შემორტყმული ბუნებრივი ჯებირი სო-
მხეთის მთებისა, რომლის წინ სომხის ერთ, როგორც ლეგენდარული

*) სომხის გამოჩენილმა მწერალმა და მოღვაწემ ბ-მა ავეტის
აგარონიანმა გადმოვგვიზავნა თარგმნი თავისი საგულისხმო წერი-
ლისა : „სომხეთი, საქართველო და დასავლეთი“. ეს წერილი იყო და-
ბეჭდილი ნიუ-იორკის ცნობილ სომხურ ჟურნალ „აირენიქ“-ში;
1933 წ. მარტში. ვტეჭდავთ ეხლა მხოლოდ მის ერთ მცრავ ნაწილს.
„სამშობლოს“ რედაქცია ახლო მომავალში ეცდება მის მთლიანად
გამოცემას.

გიგანტი დაუსრულებლივ იგერიებს აზიის ბარბაროსების იერი-შებს. შესაძლებელია ეს გაუგებრობა ერთმანეთისა გამოწევული იყო ეგრედ წილდებულ *incompatibilité d'humeur*-ით. მაგრამ ხომ ცნობილია, რომ ერები არ ხდებიან მონებად უბრალო გრძხობებისა.

თურქებ-ბოლგარელების კავშირი უკანასკნელ ომში და უფრო გვინ ვენიზელოსს საბერძნეთისა და ქემალის ისმალეთის ალანისა საკარიისა და სმირნასთან წაგებულ მძიმე ბრძოლების შემდგომ—ამის საბუთია.

incompatibilité d'humeur შეიძლება მიზეზად გახდეს ცოლ-ქმრის გაყრისათვის და არა ერებისათვის.

მაში სად უნდა ვეძებოთ ახსნა სომებს - ქართველთა ურთიერთობის წეველ გამოცასა?

დიახ, დიდათ სამწუხაროა და საწყენიც, რომ კავკასიის ეს ორი მოძმე ერი, ერთს გეოგრაფიულს და კლიმატიურს პირობებში მყოფნი, აღზრდილნი ერთ მშობელ ბუნების ძუძუზედ, ჩამოქნილნი და განვითარებულნი ქრისტიანული სარწმუნოებით, ერთი და იმავე ადათ-წესებითა, საერთო გონიერივ და ფიზიკურ ავლადიდების, ერთი კულტურის და ცივილიზაციის შეონები, ამასთანავე 3000 წლის განმაღლობაში მცხობლად მცხოვრების, რომელთაც არას დროს ერთმანეთის საწინააღმდევონ არ უკინიათ (1918 წლის კონფლიქტი, ეს მხოლოდ, უმნიშვნელო გაუგებრობად ჩაითვლება), მაგრამ იმავე დროს არც არას დროს შესაფერისად შეთანხმებულან საერთო მტრის დასაძლევად. პირიქით უბედურობის ქამასაშირადაც უკინიათ ერთმანეთისათვის.

კულტურულ და ეკონომიურ დარგებში ერთმანეთისაგან სარგებლობდნენ, მაგრამ არას დროს ამაში არ გამოტყდებოდნენ. სარგებლობდნენ ერთმანეთი მტრულად განწყობილ სიჩუმეში. პირა-დულ ურთიერთობაში სომები და ქართველი ერთმანეთს მშებსავით ევლინებოდნენ, მაგრამ პოლიტიკურ ფრონტზე კი პირგარულნი, შუბლშექრულ მოპირდაპირებად გადაიქცევოდნენ.

გარეშე მტრების თავსდასხმას ერთად განიდიდნენ, მაგრამ ეს ორი უჭიეულის, ნიშიერი და ცივილიზაციის მატარებელი ერი მცირე აზიაში, მუდამ თვალს ხუჭავდა, როცა მუხანათი მტრის სუხთ-ქვა აქრიბდა სინათლეს მეზობლის სახლში. მაგრამ საუკუნოების მანძილზე ქართველებს არას დროს არ უნდოდათ შეეგნოთ, რომ მათი ბედი ეფრატის, არეზის და ახურიანის ნაპირებზე სწყდებოდა. სომხებიც, განმარტოებულნი მებრძოლნი აზიის დესპოტების წინა-აღმდეგ, თავის მხრივაც ივიწყებენ ქართველებს და მარტოკა სტო-ვებენ მათ შეიმე განსაცდელის დღეებში. ისტორიულ გამოცდების გონიერი გაკვეთილებით სომხებს და ქართველებს არას დროს უსარგებლნიათ. ომობდნენ ცალ-ცალკე, იტანჯებოდნენ და ტიროდნენ ცალ-ცალკე; მხოლოდ მაშინ როდესაც თავის მშობლიურ კერის ნანგრევებიდან აღდგენა შესაძლებელი ხდებოდა, მათი სული განთდებოდა კვლავ ერთი ღვთიური ალის სინათლითა და იგივე კულტურა ხელახლავ იფურჩქნებოდა მდინარე არეზის და მტკვრის ნაპირებზე... ახალ უბედურებამდე, ახალ განადგურებამდე, სისხლამდე და ცრუმლამდე... და ასე საუკუნოებითი.

სად არის გამოსავალი, სად არის ბოლო ამ უმაგალითო კოშ-მარისა?

ნუ თუ ისტორია არ მოგვცემდა ამისათვის რაიმე დარიგებას? სომებ-ქართველთა არშავიდები, სომებ-ქართველთა ბაგრატიდები, თამარ მეფე თავისი ორი სომები სპასალარითა—იგანე და ზაქარია მხარგებელებით, რომლებმაც ერთად შექმნეს ძლიერება და დიდება საქართველოს?

ქრისტიანობა და მწიგნობრობის ნიშნობა. დაბადებულნი ორივე ქვეყანაში ერთდროულად, ერთი და იგივე წყაროდან, აღმესავისი საქროო სულითა და გაშლილნი საერთო იდენტიურ კულტურის ფრთხებზე... ან და უფრო მახლობელ ხანის ამბავი: მე-VIII-ე საუკუნის დასაწყისში მეფე გამტანგის მეთაურობით შეერთებული სომებ-ქართველთა ჯარი (52.000 კაცი). ცნობილ სომებს სპასალარის დავით ბეგის ბელადობის ქვეშ გაგზავნილი სპარსეთის ძალმომწერობის დასამხობათ? ზოაპარია ეს თუ ჩვენი ნამდვილი ისტორია დიდის სიბრძნითა გამსჭვალულია...

რას ფიქრობენ ამაზე სომხების და ქართველების ბელადები?

ა. აგარონიანი.

სომხეთის კოლონიზაციის საკითხები.

სომხურ გაზეთ „არაჩ“-ში იბეჭდება დ. ვაჩნაძის წერილები, პაულხად ბ-ნ აშოთ არწრუნის მიერ. ამავე გაზეთში, აღმძრულ ზოგი ერთ საკირბოროტო კიოხვებისა ქართველ-სომებთა თანამედროვე დამკიდებულობის გარკვევისათვის (იხ. უზრ. „სამშობლო“ № 13, ავგისტო 1933 წ.). მოგვაძის თარგმანი დ. ვაჩნაძის პასუხის იმ ნაწილისა, რომელიც ეხება სომებს ლოროლითა სომხეთში გადასახლების საკითხს:

„დიდის ხალისით ხელში კიღებ კალაბს. რომ განუმარტო პატიურებულ ბ-ნ ა. არწრუნს ჩემი „შეკომანი“. ოუმრა სიმარტლი კი მოითხოვს ეს უკანასკნელი მოლიანა მიეწერს ქართველ-სომებთა შორის არსებულ ურთიერთობის თელ ცოდვების საერთო ანგარიშსა. ენ არ იცის. რომ აჯავასის წრების ზედა ფენებში დღემის გამეფაბულია საკუთარ „სამრეკლოს პოლიტიკა“. კაულა აკითხს „თავის საქმეს“ მიხორულ კარიბში და არავის ჯავაება. თუ ნამდგრილა რა ხდება მეზობლებში. ამის წყალობით ჩენებს ურთიერთობაში ჯერ არ აღმოთხარილა ერთმანეთისარმი უწინიანდა: რა არძეოთება უჯრენური. ჩემი ბრძოლა ერთმანეთის საშინაო-მოიგოთ. ამირომ დასათასებილია კოლექტური აოიარება ბ-ნ აშ. არწრუნისა—რომ ამაში ჩენენა, სომხები. იართ დამნაშავენიო. თუ დორიზეთ და მორამ გარაცხობთით მეზობელ ქართველებს სომხის კხოვარების სინამდივილეს თა განვარჩევათით. მაგალითად. რომ სომებს ლოროლითა გადასხვების საჭირო არის ჩენებს მიერ დაწყებული და არა ჩვენი მტრებისა-ბოლშევიკების. მაშინ ქართველი მორვაწე არ მიაწერდა მას ბოლშევიკურ ზრავებას. ბ-ნი არწრუნი ამ აღიარების თავში მართალია. ბოლოში კი შემცვარი.

მართალია, რატომ სომხის ეროვნულ წრეებმა არ ნახეს საპიროდევნო თავისი დიდი საქმე მეზობლებისათვის, კერძოთ ქა-

როველებისათვის⁹ განა რომელ მათგანს მოეჩვენებოდა არა-სამართლინად და არა ბუნებრივად, სურვილი სომხებისა თავის ქვეყნის თავისუფალ ადგილებში თავისავე ტომის ლტოლვილი ჩაესახლებინათ? ან განა სომხური საკოლონიზაციო საქმე წააგებდა იმით, რომ მეზობლები თავის კეთილდასტურით მხარს დაუჭერდნენ მას და აგრეთვე რჩევასაც მისცემდნენ თუ როგორ მოიქცნენ იმ განსაკუთრებულ კითარებაში, რომელშიაც იმყოფება კავკასია ბოლშევიკურ რეჟიმის წყალმით?

მაგრამ სომხობა სდიდა. მეზობელთა კარებიდან კი ისმოდა იქვიანობით დაგროვილი უქმაყოფილების ყრუ გამოძხილი. ახდილად და თამამად სომხის ეროვნულ საქმეს ქადაგობინენ და ანალიტიკურების ცხოვრებაში კავკასიის ერთა თავისუფლების მოძღვები—მოსკოვის ემისარები! და ეს „დახურული“ სომხური უზირი მოსკოვის ძალა-უფლებამ თავის მიზნებისათვის ოსტატურად გამოიყენა.

როგორც ჯიმოქმებენ ოთიციალური ცნობები, ჯამოქვეყნებულნი ამას წინად გაზრდ „არა“—ში, ბოლშევიკებმა 12 წლის განმავლობაში, სომებ ლტოლვილთა გადასახლების საქმე მატერიალურად თითქმის არაერთამდე დაიყვანეს: 15-20 ათასი ლტოლვილი გადაიყვანეს სომხეთში და დაასახლეს არა მიწაზე, არამედ ჩაყარეს საბჭოთა ქარხნების საპყრობილებებში. ნაწილმა თავს უშეველა და მოსაწრო გამცემა სპარსეთში, ნაწილი კი დღემდის იქანჯება საკარისო მუშაობაში ჩაფლული. ამ საქმის წარმოებით პსიხოლოგიურ შედეგებს კი, თავის მზაურულ წაკიდების პოლიტიკისათვის, ბოლშევიკებმა დიდებულად მიაღწიეს: პპრისპონდრები გვაცნობებენ ტფილისიდან. რომ ამ ნიადაგზე ქართველ-სომებთა შორის დამოკიდებულების გამწვავებას უკანასკნელ წერტილამდის მიუღევია:

„სომები და ქართველი მუშები ერთმანეთზე „დანაზე“ იწევიან. ამ გამწვავების ნიმუშის ყოველ ნაბიჯზე წააწყობით. ტყილისის ჭიშებზე მოდიმ კამ ზოოოპოლიტ ნაციონალიზმის სიძულვილის ამბების მოწმი ხდებით. მის იუმონსტრაციას ხშირი აღვილი აქვს მუშათა ორგანიზაციებში (, პპრილი, 1933 წ. „ბრძოლის ხმა“).

ასეთი დოტორებული სერიათი თანამედროვე ჩართულ-სომხეთა ურთიერთობისა კავკასიაში, ამან უნდა დაარწმუნოს ეხლა ბ-ნი არწმუნი. რომ დ. განჩაძემ კი არ მიაწერა, უცოდინარობის გამო. სომხური ურთიერთობი საქმე ბოლშევიკურ ასზრახებებს. არამედ მათ მიაწერა და მიაწება სომებ-ქართველთა ხას მოკიდებულმა. გამოთქმა საურთიერთო ჯორურებამ. და წიგნში („კავკასიის პრობლემა“) მე წარმოუთვალი მიითხევლს სომხების გადასახლების საქმი იმ ნამდგით სახითა. რომლითაც იჯი გამოჩნდა. ი. ჩიგნის მხარეში. ასართა, მე არ შემძლო ჩუმად გვარდი ამებებია მე მნიშვნელოვან ამბებისათვის. პირიქით მსორდა გამეორთხობინა ჩიენი ისტორიული მიზობობი. თუ რა საშიშ ხელში მოიჭია დიდი ეროვნული საქმე სომხებისა. რომელიც აშკარად „ჩაქუჩ-ნამგალის“ დამოითაა ამომწერარი.

ქართველ - სომებთა ურთიერთ თამაკიდიბოლოების მრავალი შეაონითები შორიულ წარსულიდან მშერმიტაველოურად ამოწმებენ იმას, რომ როდესაც მტერი ხელში იგდებდა კავკასიის მიღა-

მოს, იგი ჯერ ანაწილებდა მის ერქვებს და მერმე ადვილად, ცალკე, მათვე თავებს აჭრიდა. მხოლოდ ამ წარსულის მწარე გაკვეთილები დაგვავიწყდა. ჩვენი თავიდან და გულიდან ხომ კაი ხანია ამოვარდნილი შევნება და გრძელია ერთმნეოთის გულლია, მეგობრული მეზობლობისა. ამ შევნება-გრძელის დაკარგვამ ყველანი ძალზე დაგვაზიანა და ყველაზე უფრო ჩაგრულ-ტანჯული სომხის ერი. მაგრამ ამაზე დაწვრილებით შემდეგ“.

კასუები ნიღაბ ამოცარებული

ამ უკანასკნელ წელთა განძილებულ ყურადღებას იჩენდენ ჩემი პიროვნების მიმართ ზოგიერთი ჩვენი ემიგრანტული გამოცემები: „თეთრი გიორგი“, „ახალი ივერია“ და „საქართველოს გუშაგი“. აქამომდე მოთმინებით გადავიტანე ყველა ასეთი პიროვნული თავდასხმები. ვფიქრობი, რომ ბოლოს და ბოლოს ყოველივე ეს მათ მოგეზრდებოდათ და მას თავს მიანებდენ. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ გამართლდა და, წინააღმდეგ ამისა, კიდევ უფრო ძლიერდება. ასეთი პიროვნული ბრძოლა საზოგადო ასპარეზზე მე არ მიმაჩნია მიზანშეწონილად და მით უფრო სისიმოვნო საქმედ. მე ის არასოდეს მიწარმოებია და მისი ობიექტიც არასოდეს კუოფილვარ, თუმცა საზოგადოებრივ ასპარეზზე ძლიერ ადრე მომიხდა გამოსხლა და ყოველთვის მის აქტიურ პოზიციებზე ვიმყოფებოდი. ამ მიზეზითაც აისწენება, რომ აქმომდე ასე გაუყიდი და ჩემი პიროვნების დაცვისათვის ხმას არ ვიღებდი. ამიერიდან ეს შეუძლებელი ხდება, რაღაც ეს კომპანია სცილდება ყველა საზღვრებს და ამასთანავე ჩემს პიროვნებაზე თავდასხმა მწერლობაში მიღებულ ყველა წესების დარღვევისა და საზოგადოებრივ მოქმედების მორალზე თავდასხმის სახეს ღებულობს. ყველა ასეთი მოვლენების აღნუსხვა მეტად შორს წამიყვანდა და ამის გამო აქ მხოლოდ უმთავრესს შევეხები.

1) სოლომონ მაჭავარიანის სახელს ამოფარებული ვინმე ვაჟა-რონი ამტკიცებს „თეთრი გიორგის“ ფურცლებზე, რომ ალ. ია-თიანი „საერთო ფრონტის ერთი ხერელიდან გამომდვრალი მეორე ხერელიდან შეძერა“-ი. ამაზედ უნდა მოვახსენონ ეგრედ წოდებულ სოლომონ მაჭავარიანს, რომ მე პირადათ არასოდეს წინეთ არ ვყოფილვარ საერთო ფრონტში და, მაშასადამე, ვერც იქიდან „გამომძერალი“ ვიქნები. კიდევ მეტს ვერცვით მას. ოცი წლისაც არ ვიყავი. რომ გავწყვიტე სოც.-დემ. წრებთან თანამშრომლობა და ამის შემდეგ ის არ აღმიღენია გასულს წლამდე არც საქართველოსა და არც ემიგრაციაში. თუმცა მე არასოდეს არ ვყოფილვარ ამისი პრინციპიალური მოწინააღმდეგე და ჩვენი პარტიის სხვა წარმომადგენლები მას ეწეოდენ თითქმის მუდმივ პარტიის დასტურით და თანხმობით.



ეს იმით აიხსნება ბ. სოლომონ, რომ მე თანამშრომლობის უკეთესი პირობების მიღწევისათვის განვაგრძობდი მუშაობას და ორი წლის წინეთ თუ ასეთი გეზი ავიღე, ეს იმის გამო, რომ ჩეენი ეროვნული საქმე ჩავარდა ისეთს მდგომარეობაში, როდესაც ეს თანამშრომლობა აუცილებელი იყო ყოველგვარს პირობებში და ამავე დროს უკეთესი თანამშრომლობის პირობების მიღწევაც გახდა შესაძლებელი.

მე ძლიერ ვთხოვ ბ. სოლომონს, მიიკითხ-მოიკითხოს „თეთრი გიორგისა“ და „საქ. გუშაგის“ წრეში თუ ვინმეს გამონახავს ისეთს, რომელსაც ს.-დ. პარტიასთან და საქ. მთავრობასთან თანამშრომლობა ასე ძნელად დაემყარებინოს და ამ ხნის მანძილზე ბ. სოლომონის სიტყვით რომ ესთქვათ, მათს ფრონტში, მრავალჯერ არ „შემძრალ-გამომძრალიყოს“. ჩემი და ჩემი პოლიტიკური მეგობრების საერთო ფრონტში შესვლაც მოხდა ახდილად და მას წინ უძღვოდა ამ საკითხების დაყენება საჯარო კრებაზე და პრესაში. ასეთს მაგალითაც ვერ იძოვნის ბ-ნი სოლომონი იმ პირებში, რომელიც დღეს საერთო ფრონტს ებრძევინ და მასში „შეძრებას“ გვისაყველურებენ.

2) ბ. სოლომონი ბრძანებს: „ამბობენ, ალექსანდრე ასათიანი რაც მიწის ზემოთაა, ორი ამდენი მიწის ქვემოდ არისო, დიდი ქვეშ-ქვეშა და ეშმაკი ვინმეო... ერთხელ რომ მაინც შესძლოს გულწრ-ცელობა, ერთხელ მაინც რომ ხრიკობას თავი დაანებოს“ და სხ... ამაზედაც ასევე უნდა უბასუხო ბ. სოლომონს. ამ ქვეყნად ყოველი-ვე შედარებითია. მთავარ-აწერელობს არ შევედრები, ხოლო ჩემი აზრი. შეხედულობა და პოლიტიკური პოზიცია და თვით სხვა და სხვა წრებოთან თუ პიროვნებებთან განწყობილება ყოველთვის ახდილი მაქს, ნათელი და გარკვეული და ამასთან საესებით გამჟღავნებული საქმით, ბეჭდევით და ზეპირი სიტყვით და არც ვიცვლი მას წარამარად, გრძნობებისა და გუნების მიხედვით. ეხლა ამ საზომით მიუდგეს ბ. სოლომონი თავის ანტიფრონტულ წრის მოღვაწეებს, რომელთაც ის ქვევიდან შესცემის და თუ ვინმე უფრო ახდილი და პირდაპირი გამონახოს. მაცნობოს და ამაზედ მაშინ ვიდავოთ.

3) ბ. სოლომონი და კიდევ სხვებიც ხშირად ჩამოაგდებენ სიტყვას „კომბინაციებზე“ და ჯამაგირებზე, როდესაც ჩემს ფრონტში „შეძრებაზე“ სწერენ. ეს კომბინაციის ნიჭი მე ცუდ საქმედ არ მიმაჩნია. ადამიანი იმით განსხვავდება პირუტყვისაგან, რომ მას ეს კომბინაციების ნიჭი აქვს, ანგარიშის, აწონ-დაწონის, მოქმედების პირობების შეფასებისა და უფრო მიზანშეწონილი საშვალებათა გამონახვისა. მაგრამ კომბინაციებიც არის და კომბინაციებიც. ხშირია ისეთებიც, რომელიც ეწინააღმდეგება დაკანონებულ წესებს და საზოგადოებრივს, თუ პიროვნულ მორალს. იქნებ ასეთი რამ მოოპოვოს ბ. სოლომონმა ალ. ასათიანის შესახებ? მე მას ნებას ვრთავ

უძრავხადოს ანკეტა თავის და სხვა გამოცემებში და თუ რამ მოიპოვოს, ამაზე შემდეგ ვმისჯელოთ. რაც შეეხება ჯამაგირებს, მე სრულებით არ მიმაჩნია უკანონოთ, რომ ჩეენში, ისევე როგორც ესაა უკელვან, აღამიანი არსებობდეს იმ საქმით, რომელსაც ის ემსახურება. ხოლო რაც შემეხება პირადათ მე, უნდა შეესჩივლო ბ. სოლომონს, რომ არამც თუ რვაასი ფრანკი, არამედ ათვერ რვაასიც რომ დამენიშნოს თევზი, ეს იქნება მხოლოდ მცირე სარგებელი იმისა, რაც მე ქონებრივად შემიტანია პოლიტიკურს მუშაობაში და არა რაიმე ცუდი კომბინაციებით, სიყალბითა თუ სხვა რამ კრიმინალური მოქმედებით, არამედ ისეთი საქმეებით რომელსაც სიამოცებით ეწევა ყოველი გონიერი მოღვაწე, ვისაც ამისი უნარი აქვს... ასე რომ ბ. სოლომონმა ასეთი დიდი ჯამაგირებიც რომ დამინიშნოს, ეს მხოლოდ სარგებელი იქნება და თავნი-თავნად დარჩება. „თ. გიორგი“ ამ რამდენიმე წლის წინეთ დაპირიდა ჩვენს ერს: ჩვენ სესხს ავიღებთ ამერიკაში და შენშევიკებისა და ბოლშევიკების რევოლუციური პოლიტიკიდან რაც ზარალი გინახავს, ყოველივეს აგინაზლაურებთო. თავნის დაბრუნებას ამ თანხებიდან მოველოდი, თუ აქაც ბედმა არ მიმუხთლა და ბ. სოლომონის გამჭრომამ ეს იმედიც არ ჩამიშალა. ებლა სხვაგან მოკითხოს ბ. სოლომონმა ასეთი „კომბინაციები“ და თუ ვრჩეს გამონახავს ამ მხრივ უფრო მტკიცედ ფეხზე მდგომს, ცალკე თუ კოლექტიურად, მე მის წინაშე ქედს მოვიხრი და ბ. სოლომონ-საც ბარაქალას ვეტყვი.

4. ჩემი ბიოგრაფიისათვის ბ. სოლომონს შემდეგი მასალები ჰქონია: „ამბობენ“, რომ ასათიანი ასეთიან. „მე პირადათ მას არ ვიცნობ, შორიდგანაც კი არ დამინახავს, ეს კია გაზ.“ „თ. გიორგში“ „წერის“ მიერ დახატულ კარიკატურაში ვნახეო“. ნუ თუ ბ. სოლომონს არ ესმის, რომ პიროვნების დახასიათებისათვის, მით უფრო საზოგადო ასპარეზზე მომშედის, საკმარისი არ არის ქუჩაში განავონი ლათაები და არამც თუ წერის, არამედ ფარშავანგის კარიკატურებიც? ეს მას უთუოდ ესმის და დასამტკიცებლად იმისა, რომ ის უთუოდ მართალს იტყვის, შემდეგი საბუთი მოკიავს: „მე ერთი ქართლელი კაცი გახლავართ, აბა ქართლელის ხრიკები ვის გაუგონია? ერთი გულუბრყვილო ხალხი ვართ, გული ხელზე გვიდევს და სხვა.“

სამწუხაროდ ესეც არ არის მართალი. ხრიკეანი ხალხი, ყიზილ-ბაშები ორმაგი და მატყუარა ქართლელებშიც გვინახავს, იმერლებშიც და კახელებშიც. ამის საუკეთესო მაგალითს თვით ბ. სოლომონი წარმოადგენს. ის გვარწმუნებს, რომ ის ქართლელია, სოლომონია და მაკავარიანი. მის ქართლელობის შესახებ ვერას ვიტყვი, მაგრამ რომ ის არც სოლომონია—არც მაჭავარიანი, ამაში მას კატეგორიულად და ვარწმუნებ. და როდესაც აღმიანი თავის შესახებ სამ სიტყვის იტყვის და სამსავე ტყვილს და ორს მაინც უდავო ტყვილს, როგორ უნდა მოვთხოვო მას, რომ ჩემს შესახბ მართალი სოჭვას.

5) იქნებ ბ. სოლომონს ეს არ ესმის, მაგრამ ნუ თუ „თ. გ.“ გარშემო არ მოიპოვება ვინმე, რომელსაც გაეგებოდეს ბეჭდვითი სიტყვის სრულიად უდავო და ელემენტარული წესები? ერთია ზეპირად ნათქვამი სიტყვა, მეორეა კერძო ბარათზე დაწერილი და მესამე ნაბეჭდი. ყველა ამათ თავისი ძალა აქვს და შესაფერისი პასუხისმგებლობაც. ერთია კიდევ, საზოგადო საკითხებზე წერა და მეორეა პიროვნების წინააღმდეგ გალაშქრება. საზოგადო საქმეებზე აზრების გამოთქმა ანონიმურად და ნილაბ-ამოფარებულადაც შეიძლება. ესა თუ ის აზრი, ცუდია თუ კარგი, შეიძლება ბევრს ჰქონდეს და არაენ მოითხოვს გამეღავნებას იმისა, თუ ვინ გამოსთქვას მას ამ უამაღლოლო როდესაც პიროვნების წინააღმდეგ ილაშქრებენ, სავალდებულოც არის მიჩნეული თავის სახის გამეღავნება, რომ ნათქვამისათვის პასუხისმგებლი პირი სჩანდეს და საზოგადოებაც ხედავდეს თუ რა დოვლათის პატრონი ბრძანდება ის ვინც სხვის პიროვნების ლირსებებს იწუნებს და ჩრდილს აყენებს. იმდინა ამიერიდან მაინც გაუწევს ანგარიშს „თ. გ.“ რედაქტია ამ ანბანურ კეშმარიტებას და მის ფურცლებზე ბეჭდვითი სიტყვის ელემენტარული წესების დარღვევას აღვილი აღარ ექნება.

მე მაინც არ მინდა სოლომონ მაქარიანის ასეთი მშერლობის მიხედვით მსჯავრი დავსდო დამწერის პიროვნებას. შესაძლოა ის საზოგადოთ დინჯი და დარბაისელი ადამიანი იყოს, და ამ კერძო შემთხვევაში ემზადანტულმა გალიზიანებულმა სულისკვეთებამ ჩაითრია და სულიერი წონასწორობა დაუკარგა. სამუშავოდ გაცილებით უფრო ცუდია ის ამბავი, რომელზედაც ეხლა მოგახსენებთ. ამაზე წერა ჩემთვის მრავალმხრივ უფრო სამძიმოა, რაღაც ის შეეხება ბ. პირდონ კედიას, რომელთან ერთათ მუდმივი პოლიტიკური მუშაობა მაქვს ნაწარმოები 15 წლის მანძილზე. ამის მიხედვით მე ასე ვხვდი, რომ ჩემთვის სრულებით არ არის სასარგებლო მისი დამცირება და გაბახება. სამწუხაროდ, ბ. ს. კედია ასე არ ანგარიშობს ჩემს მიმართ, მაგრამ ეს მისი საქმეა.

ამ შეიძიო წლის წინეთ ბ. ს. კედია დაშორდა ჩემნი პარტიის ხელმძღვანელი წრის ერთ ნაწილს, ხოლო სამი წლის შემდეგ ყველას ერთობით. მან ბრძოლა გამოუცხადა ამ წრეს და მეტად უცნაური მეთოდით. ეს ბრძოლა მისი პიროვნების დაცვის მიზნით სწარმოებდა სიტყვით, წერით, მითქმა-მოთქმით. საგანგებო უურნალები გამოიცა ბ. კედიას ასამაღლებლად და სხვების გასათახსირებლად, ათასი ჭორები ითხხებოდა და ვრცელდებოდა ემიგრაციაში საზოგადოების გასალიზიანებლად და გასაბოროტებლად ჩემს წინააღმდეგ. ნამდვილი არალეგალური პრეს-ბიურო დაარსდა ჩემს შესახებ ინსინუაციების დასაგზავნად ყველა მიმართულებით. მაგრამ თვით ბ. კედია ამ ბრძო-

ლაში სრულიად არ სჩანს. ამ საქმეს აწარმოებდა რამოდენიმე პირი, რომლებიც წინეთ რაიმე აქტიურ სარბიელზე არ სჩანდენ. რამოდენი-მეჯერ მიეგმართეთ ბ. კედიას თხოვნით, რომ მას მიეტოვებინა პირა-დული ანგარიშების გასწორების ასეთი გეზი და თუ რამ ჩვენთან სა-დაო ჰქონდა, ეს ეწარმოებინა საყოველთაოდ მიღებულ წესის მიხედ-ვით—საკითხების გარჩევით რომელიმე ორგანოში, ან და მათი დაყე-ნებით საჯაროდ და ახდილად. ყოველივე ეს უშედეგოთ დარჩა და ამის შემდეგ ჩვენი პარტიის ცენტრალურმა ბიურომ ვრცელი ლია ბა-რათით მიპართა ბ. კედიას და ეს წინადადება კვლავ განუმეორა. არც ამან იმოქმედა და ორი წლის შემდეგ ბიურომ ეს წერილი დაპბეჭდა („სამშობლო“ № 12) და ბ. კედიას კვლავ გააფრთხილა. არც ამან გა-სჭრა და ბ. კედიას „გვშაგის“ უკანასკნელი მესამე ნომერის ნახევარი ჩვენი ბიუროსა და კერძოდ პიროვნულად ჩემი ლანძღვა-გაინებით არის აღვსილი. ამ წერილსაც, რასაკვირველია, ბ. კედია არ აწერს ხელს, მაგრამ ამ ფურცლის რედაქტორად თვითონ არის გამოცხადებული და ამას გარდა ინსინუაციებით აღვსილ წერილის ერთს უმნიშვნელო ცნობას რედაქტია შენიშვნას უკეთებს და მით ის ხელს აწერს და ადასტურებს ყველა იქ მოთავსებულ სხვა სიყალებს, რომელთაც ასეთს შესწორებას არ ურთავს. ყოველივე ამის შემდეგ რომ ავილო კალამი და ახდილად გავარჩიო ყველა ეს სხვათა ზურგს უკან ნაწარ-მოები საქმები, ამას უთუოდ ვერცინ დამძრახავს. მაგრამ ამიდან ამ უამაღლაც შევიკავებ თავს და იმედი მაქვს ბ. კედია ამიერიდან მაინც მიატოვებს ასეთს ურიგო კომპანიას და მით ამის საჭიროება მომა-ვალშიც არ მექნება. ამის იმედით ჩემს პასუხს სავალდებულო მინიმუმით განვსაზღვრამ და მხოლოდ რამოდენიმე საკითხს შევეხე-ბი, ისიც ზოგადათ და მოკლეთ.

1) სამწუხაროდ ხშირად ხდება, როდესაც პიროვნულ ანგარი-შებს საზოგადო და საქვეყნო სამსახურში ხვევენ, რომ მით მისი ბუნე-ბა დაპტარონ. ბ. კედია ამ ხერხს მეტად ცუდათ ხმარობს და ამის გა-მო თავის კომპანიის ბუნებას კიდევ უფრო ცუდათ ამჟღავნებს. ის თავს ესხმის საქართველოში მებრძოლ პარტიებს და მათ ნაწარმოებ ბრძოლებს, ემიგრაციის ყველა წრეს და ყველა დაჯგუფებებს და თავს ესხმის უცნაურის გაბოროტებითა და ღვარდლიანობით. და არც ყვე-ლაზე უფრო არაბუნებრივია, ასეთს საქმეს ის აწარმოებს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით და ეროვნული პოლიტიკის დრო-შით. როდესაც კლასთა ბრძოლის ნიადაგზე მომუშავე პარტიები შე-ურიგებელ ბრძოლას აწარმოებენ სხვა მიმართულებათა წინააღმდეგ, ეს დიდ ბრძოლებაც მიგვაჩნია ჩვენ, ვინც გამაერთიანებელ ეროვ-ნული პოლიტიკის ნიადაგზე ვდგევართ; მაგრამ ასეთს შეურიგებელ გეზს მხოლოდ ანარქისტები და კომუნისტები განაგრძობენ ომისა და განმათავისუფლებელი ბრძოლის დროს. სად გაგონილა, რომ ასეთი

შეურიგებელი ხაზი აელოს რომელიმე ეროვნულ დაჯავუფებას თავის ქვეყნის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლის დროს და ისიც ემიგრაციაში? როგორ შეუძლია ბ. კედიას ასეთს თავის მოქმედებას ეროვნული პოლიტიკის სახელი მიაკერძოს? როგორ ჰქისრულობს დიდი ილიას და ჩვენი ეროვნული გმირის ქაქუცა ჩოლოყაშიოლის სახელი წაუშძღვაროს წინ, თუ რითმე დაუკავშიროს, ემიგრაციის გაბოროტებისა, დაქაქუცის და ერთმანეთზე გადაკიდების საჭეს? რათ არ ანგარიშობს ბ. კედიას ასეთი მუშაობის მოსალოდნელ შედეგებს? ემიგრაციაში ისედაც ბევრია გამწვავებისა და გაბოროტების ელემენტები და რათ არ ჰეთიქრობს ის, რომ ყოველივე გართულება ამ მხრივ და მისი ცუდი გამოძახილი და ექსცესები ბუნებრივიდ მიეწერება საზოგადოების თვალში იმათ, ვინც იდეურად ჰკვებას და აღრმავებს ასეთს სულისკვეთებას? თუ ბ. კედიამ თვითონ ვერ შესძლო გაფიცხებულ გრძნობებს ტყვეობიდან თავის დაღწევა, ნუ თუ მის მახლობლად არაენ მოიპოვებოდა ისეთი, რომელსაც ეს გრძნობები კიდევ უფრო კი არ გაეღიზიანებინა, -არამედ პედაგოგიური მიღებით წელთა მანძილზე დაეყრა და, დაემშვიდებინა ისინი და მით სრულიად ელემენტარული ანგარიში მისთვის სავალდებულოდ გაეხადა?

2) რაც შეეხება იმ კითხვებს, რომელთა შესახებ ჩვენ გვედავება ბ. კედიას „საქ. გუშაგი“, ვინც ამით დაინტერესდება, იმისთვის სრულიად საკმარისი იქნება, უკეთუ ის წაიკითხავს „სამშობ.“ -ს მე-12 წელი მოთავსებულ ცენტრალური ბიუროს წერილს და შემდევ ვითომდა ამის პასუხს „საქ. გუშაგი“ -ს მესამე ნომერში. მკითხველი დაინახავს, რომ ბ. კედიას დამცველი საცხებით გვერდს უხვევს ბიუროს წერილში აღნიშნულ ფაქტებს და ამის დასაფარავად აუარება ლათაიებს თხზავს. მაგრამ ბიუროს წერილში მოხსენებულ მრავალ ყალბ საჭმეს ბ. კედიას დამცველი კიდევ ახლებს უმატებს. „საქ. გუშაგის“ წერილის სათაურია — „პარტიულ დისიდენტებს“. ამ წერილის ავტორმა და მისმა რედაქტორმა კარგად უწყიან, რომ შეიდი წლის წინეთ ბ. კედია შედიოდა ჩვენი პარტიის საზღვარ-გარეთის ხელმძღვანელ ორგანოში, რომელიც 15 წევრისაგან შესდგებოდა. ამ უამაღ ბ. კედიასთან არ იმყოფება არც ერთი ამ 15 წევრისაგან და „გუშაგი“ ყველა ამათ „დისიდენტებს“ უწოდებს, ხოლო ბ. კედიას კი — პარტიას და მის ხელმძღვანელ ორგანოს! ამავე დროს ბ. კედიას ფურცელი თავის რედაქტორს უწოდებს პარტიის „უცვლელ თავმჯდომარეს“, როდესაც ხელთ აქვს ასლი იმ განცხადებისა, რომელიც ბ. კედიამ ამ ხუთი წლის წინეთ გადასცა მთავარი კომიტ. თავმჯდ. ამხანაგს ალ. ასათიანს თავმჯდომარეობიდან ფორმალურადაც გადადგომის შესახებ, და რაც მოყვანილია ცენტ. ბიუროს წერილში. ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებაში მრავალს უკუღმართობას ჰქინდა ადგილი, მაგრამ ასეთი პოლი-

ტიკური აშორდიში მისთვის ახალი ხილია, მაგრამ ეს მეტად ცუდი ხილია და მის დამწიფებას და გავრცელებას ხელი არ უნდა შეუწყოთ.

3) ცენტრალურ ბიუროს წერილში რომ იყო ნათქეამი, რომ ბ. კედია ხშირად სტოკებდა თავის პოსტს, პირადული უთანხმოებები ჰქონდათ და სხ. „გუშაგის“ ავტორი ჰყიუქობს, რომ ამის გასაბათი-ლებად საქართვისი მაგალითად ასეთი კორების შეთხხვა — ალ. ასა-თიანმა ერთი კონფერენცია დასტოვაო; ალ. ასათიანს დავა ჰქონდა ბ. გ. გვაზავისთან თავმჯდომარის ამხანაგის პოსტის გამოვო. ასეთი დავის შესახებ ასათიანს და გვაზავის აქამომდე არაფერი სმენიათ. შეიძლება ბ. ტიტემ ეს არ უწყოდა, მაგრამ ბ. კედიას როგორ დაავი-წყდა, რომ ალ. ასათიანი პარტიაში თავიდანვე საორგანიზაციო საქ-მეს ხელმძღვანელობდა უმთავრესად და არც ამ საქმეში და არც იმ თანამდებობებზე, რომლებიც აქედან გამომდინარეობდა, მას არც ბ. გვაზავა შედავებია ოდესმე და არც სხვა ვინმე. ის არც კონფერენციებიდან გაქცეულა, რასაკვირველია, ოდესმე და არც რამე სხვა ორგანოებიდან, რადგან ყოველივე ამის მოწყობა მის ხელში იყო და ვისაქცევად საქმეს როგორ მოიწყოდა. სამაგიეროდ ბ. კედია თუ „უცვლელი“ თავმჯდომარე იყო, თვით ტიტე კონფერენციის თავ-მჯდომარე ყოფილა და არა ერთ-ერთი მდივანი ცხრათ შორის. და ეს კონფერენციის თავმჯდომარედ გამოცხადებული ბ. ტიტე ასეთს ქება-ხოტბას ასხამს „უცვლელ“ თავმჯდომარეს: „ის ერთად-ერთი კაცია, რომლის ხასიათის განსაკუთრებული მიმზუდველობითი ძალა მოქმედობს ყველაზე და მოქმედობდა თვით ბიუროს წევრებზეც... შეგუება და მოსიყვარულობა კედიასთანა ქართველებში ძნელად მოი-პოვა“. თუ ქართველებში ძეირად მოიპოვა ასეთი სიყვარული და სა-თნება, სამაგიერო მასში ხშირი ყოფილა ვერაგობა გაუტანლობა, სიბრივე და ამ მშენებელ თვისებებს ბ. ტიტე ჩვენს ბიუროს მიართ-მევს. მთელი ეს დასრულებელი აბდა-უბდა ბევრს შეშლილის წერი-ლებს მოაგონებს უთუოდ და მისი ყველა იქ მოთხოვნილი კორების განხილვა შორს წაგვიყვანდა. ამ „თავმჯდომარეთა“ კლევტიურ ნა-წარმოების „ნატურელზე“ (მათივე ტერმინი რომ ვიხმაროთ), ჩვენ ხანგრძლივ ვერ შევჩერდებით და მხოლოდ ორიოდე ცნობას შევეხე-ბით.

4) ბ. კედიას დამცველი ხმარობს სიტყვას „ვერაგობას“, როდესაც ის ეხება ჩემს დამოკიდებულებას ბ. კედიასთან. უფრო შორს რომ არ წავიდეთ ემიგრაციის ხანაში ბ. კედია ოთხჯერ ჩამოცურდა თავის ტახტიდან და ოთხვეჯერ მე შევძელი ზედ აყვანა. დიდი ეროვნულ დამსახურებად ეს უთუოდ არ ჩამეთვლება და ამას არავინ შემედა-ვება. ასეთი აყვანისათვის მე არ მქონია გაკეთებული მექანიკური ას-სანსორი, არამედ ამას ხანგრძლივი შრომითა და მაცადინობით ვახერ-ხებდი. შემდეგ ის ჩვენი წრიდან გაიქცა თუ სხვებმა გააქციეს და თუ

ახალი მისი დამცველების მისდამი მეგობრობა უფრო ნაყოფიერია მისთვის, ვიდრე ძველი ჩემი „ვერაგობა“, და თუ ეხლანდელი მისი პოლიტიკური მდგომარეობა უკეთესია, ვინემ ეს იყო ჩვენს წრეში ყოფნის დროს, ამის დამსახურება უთუოდ მის ახალ მეგობრებს ეკუთვნის და ამაში მე წილს ნუ დამიდებენ. ამ ჩემს „ვერაგობის“ შესახებ წინეთაც ბევრს ლაპარაკობდეს ბ. კედიას დამცველები ქუჩა-ქუჩა და ზურგს უკან. ერთს პარტიულ კრებაზედ მე პასუხი გავეცი მათ და ვინაიდან ბ. კედია მოწვეული იყო და არ მობრძანდა. ზომები მივიღერომ ჩემი სიტყვები მისთვის გადაეცათ. ილა ჭავჭავაძე რომ ყოფილიყო ჩენს წრეში ბ. კედიას მაგივრად, ამაზე მეტს გამტანლობას და მეგობრობას მისდამი ვერავინ მოგვთხოვდათქმ, განვატხადე მე მაშინ და ეხლაც ამასვე უიმეორებ.

5) მაგრამ ბ. კედიას მიერ წარმოებული პიროვნული ბრძოლის კომპანიის მარგალიტა შორის ყველაზე უფრო სხივოსანი მარგალიტს წარმოადგენს შემდეგი სტრიქნები: „საშინელება იყო პარტიისთვის, რომ ისიც კი შესაძლებელი გახდა, რომ ერთი პირის გამოსვლა (საქართველოდან) პოლიტიკური მოტივით კი არ იყო გამოწვეული, არამედ უკანონო გეშეფტის გამო“. ვის შეხება ეს ცნობა, ამას გაზითი არ ასახელებს, რომ შევედავო, მიპასუხებენ—თქენ ხომ არ ხართ დასახელებული და შარჩხ ხომ არ ხართო. ამავე დროს მოჰელი ის წერილი უმთავრესად ჩემს პიროვნებას შეეხება და მკითხველის ოვალში ბუნებრივად ეს ამბავიც მე მიმეწერება. ბ. კედიას უთუოდ დიდათ მოხერხებულ ონიად მოეჩენა ასეთი ანონიმური ინსინუაცია. მან მხოლოდ ის ვერ იანგარიშა, რომ თუ ამ ცნობის გამიფრვა მოხდებოდა, ეს არც მე და არც ჩეენს წრეს არ შეგვეხებოდა, არამედ იმათ, ვინც ჩენ გვებრძვიან. ჩეენს პარტიაში ყველამ უწყის და მის გარეშეც ბევრმა, რომ მე საქართველოდან გამოვედი არალეგალური გზით მას შემდეგ, რაც საპყრობილიდან გავიქცე კახეთხევსურეთის აჯანყების დროს. როგორც ერთი ისე მეორეც მოწყობილი იყო ჩეენი პარტიული ცენტრის მიერ, მაგრამ ამან იმსხვერპლა ერთი ჩემი მახლობელი, ხოლო სხვები და აგრეთვე გარეშენიც ქალი და კაცი ხანგრძლივათ იყვნენ დაპატიმრებულნი და ამ საქმეში სრულიად უდანაშაულოდ. ამ საგანზე თანაგრძნობა ბევრი მსმენია, მაგრამ პარტიები დაგმობა თუ საყვედური არავისაგან. მართალია საქართველოდან ურიგოთ გამოსვლის საკითხი იდგა ჩეენი პარტიის კომიტეტში და ეს ბ. კედიას კარგად უნდა ახსოვდეს, რადგან ეს მოხდა მისი საქართველოდან გამოსვლის დროს და თუ ბ. კედიას დაავიწყდა თუ ვის შეეხებოდა ეს, ეხლა უთუოდ გაიხსენებს და ამის შემდეგ თავის გაზითში ასეთს გადაკრულ ცნობებს აღარ გააჭიჭანებს.

დასასრულს მე მინდა ერთი წინადადება მივცე ბ. კედიას: გაუკეთოს ჯამი ყველა იმ ახდილ და ფარულ კომპანიებს, რომელსაც ის

აწარმოებდა ჩვენს წინააღმდეგ და ყველას წინააღმდეგ ამ უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე. თავის ნამოქმედარის დაფასება სრულის ობიექტივობით, რასაკვირველია დიდათ საძნელო საქმეა, მაგრამ დიდი ობიექტივობა არ დასჭირდება დასარწმუნებლად იმაში, რომ ეს მისი მოღვაწეობა ვერ შეუწყობდა ხელს ემიგრაციის მთლიანობისა და მისი სულიერად გამაგრებისა და განმტკიცების საქმეს, არამედ მის დაქასებვასა და ზნეობრივად გატეხასა და დაბუნებას. თუნდაც მხოლოდ კერძო და პიროვნული ინტერესების თვალთაზრისით რომ მიუდგენს ამ საკითხს, რას გამოელოდა და რისთვის უნდა მიეღწია ბ. კედის ასეთი თავის მოღვაწეობით? მე ვცდილობ ვიყო სრულიად ობიექტიური. ყოველივე ვიანგარიშო და ავწონ-და ვწონო და მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ ასეთი გზით მუშაობა, საზოგადო ინტერესებს რომ გვერდ აეხვიოს, პიროვნული ინტერესების თვალთაზრისითაც თითქმის ყოველთვის პასიერ იძლევა და კერძოდ ბ. კედის, შემთხვევაშიაც ასეთია მისი რეზულტატი.

და ყოველივე ამის მიხედვით ჩემი რჩევა იქნება ბ. კედიასადმი (და ის ვერ მოიგონებს ვერც ერთს ისეთს მაგალითს, რომ ჩემი რჩევა მისთვის საზარალ გამომდგარდებს), რომ ამიერიდან მაინც მისცეს დასრულება ასეთი გეზით სელისა და მოქმედებას.

აღ. ასათიანი,

ზორილი რედაქციის მიზართ

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციას

ბატონო რედაქტორი!

ვთხოვთ მოათავსოდ თქვენი პატივცემული უურნალის უახლოეს ნომერში, სოშოს ქართული ასოციაციის საბიბლიოტეკო კომისიის შემდეგი მიმართვა, როგორც ქართველი საზოგადოებისადმი მთლიანად, ისე ცერძო პირებისადმისაც.

ქართველთა ასოციაციამ სოშოში, 26 მაისისათვის აგებულ საკუთარ შენობაში, გახსნა წიგნთ-საცავი სამკითხველო; სამკითხველოს საქმაო დიდი ზალა ლამაზათ მორთული და მოქაზმულია, მისთვის ყველა საჭირო ნივთებით, ქართული პოლიტიკური მოღვაწეების და მწერლების სურათებით.

არჩეული იქმნა სამკითხველოს კომისია და გამგე; ყველა წიგნები და უურნალ-გაზეთები ქართულ და სხვა ენებზე დალაგებულია სრულ წესზე და შეტანილია კატალოგში.

სამკითხველოს სსენებულმა ორგანოებმა შეიძულა შემდეგი წესი მუშაობისა : 1) სამკითხველოს შეესება და გაფართოვება; 2) თან-და-თანობითი შექმნა არქივისა, რომელსაც მომავალში ექნება ეროვნული მნიშვნელობა; არქივში თავმოყრილი უნდა იქმნეს ყველაფერი რაც კი დაიბეჭდა ქართულ ემიგრაციაში დღიდგან მისი არსებობისა, როგორც ქართულ ისე სხვა ენებზე და ეხება ქართულ საქმეს და მის პოლიტიკას. ამ რიგად ყველა გამოცემების ეგზემ-ლიარის სიმედო არქივში თავის მოყრას, მომავალში დიდი ისტო-რიული ლირებულება ექნება.

გამოდის რა ყველა ზემოდ სსენებულიდან, სამკითხველოს კომისია მიმართავს ყველა ქართველებს, საზოგადო ორგანიზაციებს, რედაქციებს და გამომცემლებს. ხელი ზეუწყონ ამ ემიგრაციაში ერთად-ერთ არსებულ ქართულ სამკითხველოს და დაქმარონ პერიოდული და არა პერიოდული გამოცემების თითო ან ორი ეგზემ-ლიარის გადმოგზავნით, აგრეთვე წინანდელი დაბეჭდილი და გა-მოცემული—წიგნებით, ბრძოშურებით, უურნალ-განათებით და სხ.

ყველა ის პირები და ორგანიზაციები, რომლებიც გამოეხმა-ლრებიან ან მოწოდებას, ლიტერატურის თუ სხვა დაბმურებით, შეტანილი ცნებიან სამკითხველოს საგანგებო სამარ აგრეთვე პე-რიოდულად დაისუკრდება ანგარიშები სამკითხველი, მდგრადი მომარეობის შესახებ.

მისამართი: Sochaux (Doubs). Association Géorgienne. Bibliothèque Mr Nadachvili.

სოშოს ქართული ასოციაციის სამკითხველოს
კომისიის თავმჯდომარე მ. ნადაშვილი.

ქ. სოშო. 17 სექტემბერი 1933 წ.

სარედაქციო კოლეგია.

La gérante : Suzanne Bertillon.